# ნაკადული

სვ
ეროვნული ბიბლიოთეკა
140
2004 7-8



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი დღე საერო სკოლაში „ბინწყლი"

















ოლეგ გველესიანის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2004 წ. №7-8

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა აღმოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი" ---------- 2
სკოლა სახელად „ბიზული" ---------- 3
გრიგოლ რობაქიძე – ივანე ჯავახიშვილი ---------- 5
მეგობრობა გრძელდება ---------- 7
მანანა გელაშვილი – ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს – (მოთხრობა) ---------- 8
ძმები ამაღლობელები (დასამახსოვრებელი სახელები) ---------- 10
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 11
„ოდოშხერი" ---------- 12-13-20
წერილები პირველ მასწავლებელს ---------- 16
ეკონომიკის ანბანი ---------- 18
ლეონარდო და ვინჩი (მარადიული სახელები) ---------- 19
მზია მექერიშვილი – თავქუდმოგლეჯილი ბიჭის ამბავი (ზღაპარი) ---------- 21
სალექი რეზინის ისტორია ---------- 26
დედაშვილობა (ბუნების კარი) ---------- 27
დი სნაიდერი – ნარკოტიკების ჰიტ-პარადი (პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის) ---------- 28
სიცილის გაკვეთილი ---------- 31

23272

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.

ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## ორი მსოფლიო ჩემპიონი + ორი პრიზიორი

საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე გამართულ მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში 10 წლის გოგონებს შორის ჩემპიონობა სამტრედიელმა მერი არობიძემ მოიპოვა, 16 წლიანთა შორის კი საუკეთესო თელაველი ბელა ხოტენაშვილი იყო. ოდნავ ჩამორჩნენ მეგობრებს 10 წლის ნინო ანკაიძე, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა და თანატოლთა შორის მესამე ადგილზე გასული 16 წლის მაკა ფურცელაძე.

მედლების საერთო რაოდენობით საქართველოს გოგონათა ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა, გუნდური პირველი ადგილი კი პოლონელ გოგონებს ერგოთ.

## საუკეთესო პლაკატები ნიუ-იორკში გამოიფინება

გალერეა „ჰობიში" გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ მოწყობილ პლაკატის გამოფენა-კონკურსზე, რომლის დევიზი იყო „კაიროდან საქართველომდე: მზერა მომავლისკენ", ხუთი სხვადასხვა ასაკის ავტორებმა 85 ნამუშევარი წარმოადგინეს. გამოფენა კაიროს კონფერენციის 10 წლისთავს მიეძღვნა და ამდენად მის თემატიკაშიც ძირითადად ამ კონფერენციის სამოქმედო პროგრამის საქართველოში მოქმედების მიმართულებები აისახა – ქალთა უფლებები, სიღარიბის დაძლევა, შიდსის პრევენცია, ბავშვებისა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობა, მოსახლეობის განვითარების პრობლემები და სხვა. ჟიურიმ საუკეთესოდ 8 წლის ნია ჭელიძის, 10 წლის მარიამ ყარყარაშვილის, 14 წლის თემი გოგიჩაიშვილისა და 17 წლის რატი დოლიძის ნამუშევრები ცნო და პრემიებიც მათ გადასცა. წამახალისებელი პრემიები დაიმსახურეს დავით მუმლაძემ (17 წლის ), გიორგი ნათენაძემ (12 წ), ფალიკო ფირალიშვილმა (10 წ), ნიკა გოგიჩაიშვილმა (10 წ), დავით ცეცხლაძემ (13 წ), მიშა რაიდანოვმა (10 წ), ეკა ენიაძემ (13 წ). ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო ნამუშევრები ნიუ-იორკში, გაეროს მოსახლეობის ფონდის ცენტრალურ ოფისში პლაკატის საერთაშორისო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

## გიორგი ასანიძის სახელობის ტურნირი

ორთაჭალაში, 72-ე სკოლის სპორტულ მოედანზე ჩატარებულ მინი-ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონის გიორგი ასანიძის სახელობის ტურნირში ორივე ასაკობრივ ჯგუფში (1990-91 და 1993-94 წლებში დაბადებულები) მოიპოვა გუნდმა „კრწანისი", რომელსაც გივი მამულაშვილი და მამუკა ჩუბინიძე წვრთნიან, მეორე ადგილზე კი „კავკასიონი" გავიდა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად „კრწანისის" მოთამაშე ლაშა გაჩალვაშვილი აღიარეს. ჯილდოები გამარჯვებულებს თავად გიორგი ასანიძემ გადასცა.

## 13 წლის მხატვრის პირველი გამოფენა

ზურაბ წერეთლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ნორჩი მხატვრის, 13 წლის მარიამ სუპატაშვილის ნამუშევრების გამოფენა. თავის პირველ გამოფენაზე მარიამმა აკვარელში შესრულებული და გრაფიკული ნამუშევრები წარმოადგინა. მნახველებისა და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა „თუთიყუშებმა", „ქალის პორტრეტმა", „სააღდგომო ნატურმორტმა", „ჰიკშარმა ძველ უბანში" და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლა სახელად „ბინული“

„ბინული“ ძირძველი ქართული სიტყვაა და წყაროს ნიშნავს, სწორედ ეს სიტყვა შეარჩიეს სკოლის სახელწოდებად მისმა დამფუძნებლებმა მაია ინასარიძემ, ნინო ჯოგლიძემ და მარინე კობახიძემ, როდესაც განათლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სასწავლებლის შექმნა განიზრახეს. ეს ოთხი წლის წინ იყო, დღეს „ბინული“ საკუთარი, გამორჩეული სახის მქონე საერო სკოლაა თავისი შინაგანაწესით, ჰიმნით, ემბლემით, გამოკვეთილი ორიენტირებით და აურით. სკოლის დირექტორი ქალბატონი მარინე კობახიძე გახლავთ, რომელმაც თავის დროზე თბილისის 147-ე საშუალო სკოლა, ანუ ის სკოლა დაამთავრა, რომლის პირველი სართულის ერთ-ერთ ფრთაში დაიდო ბინა „ბინულმა“.

მარინე კობახიძეც და 147-ე სკოლის ამჟამინდელი დირექტორიც ქალბატონი ნანა ჯოგლიძეც, როგორც მასწავლებლები, არაჩვეულებრივი პიროვნებისა და პედაგოგის ანზორ ჩაფიძის ხელში ჩამოყალიბდნენ, რომელიც წლების მანძილზე უძღვებოდა ამ სკოლას, დღეს რომ მისი სახელი ჰქვია, და სკოლის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ბევრი რამეც მისგან ისწავლეს.

მარინე კობახიძეს მასწავლებლობაზე არასდროს უოცნებია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სკოლაში რომ დაიწყო მუშაობა, ფიქრობდა, რომ ცოტა ხანს დაჰყოფდა აქ, მერე კი სხვა სამუშაოზე გადავიდოდა, მაგრამ სულ მალე მიხვდა – სკოლას ველარ შეელეოდა, ბავშვებთან ურთიერთობით მოგვრილ სიხარულს ვერაფერზე გაცვლიდა და აგერ უკვე 22 წელია სკოლაშია. ახალი ტიპის საერო სასწავლებლის შექმნა კი მას თანამოაზრეებთან ერთად ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ძირეული გარდაქმნების პროცესებმა და განვითარების ახალ გზაზე შემდგარი საქართველოს მომავლის მაშენებელთა მომზადებაზე ფიქრმა გადა-



სკოლის დირექტორი მარინე კობახიძე

აწყვეტინა. საერო სკოლას ბევრად უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ასე ვთქვათ, სახელმწიფო დაკვეთით მოქმედ სკოლას, აქ სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო თამამი დანერგვის ფართო შესაძლებლობებია და ეს „ბინულის“ სინამდვილეშიც მთელი სისრულით ცხადდება.

მაღალზნეობრივი და ინტელექტუალური, დამოუკიდებლად მოაზროვნე, ფიქრის, დასკვნის გამოტანის, ცოდნის გამოყენების უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება; ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უწყვეტობა; ადრეული პროფილირებისთვის გამიზნული უცხოური ენებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გაღრმავებული სწავლება; დამოუკიდებელი და სამეცნიერო საქმიანობის ჩვევების გამომუშავება – აი ის ძირითადი ორიენტირები, რომლებსაც ეყრდნობა თავის საქმიანობაში სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომლის წამყვან ბირთვს ახალგაზრდები შეადგენენ.

სკოლა შედგება ორი ცენტრისაგან, ეს არის სასწავლო მეთოდური ცენტრი და ბავშვთა აღზრდის ცენტრი.

სასწავლო მეთოდური ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია: დაწყებითი ელემენტარული სკოლა (პირველი – მეექვსე კლასები), ძირითადი (პროფილური) სკოლა (მეშვიდე-მეცხრე კლასები), ლიცეუმი (უმაღლესზე ორიენტირებული სწავლება).

ბავშვთა აღზრდის ცენტრის სტრუქტურული ერთეულები განისაზღვრება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით და ემსახურება მოსწავლეთა სულიერ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ სრულყოფას (ცენტრის სტრუქტურული ელემენტების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია საზოგადოებრივი დაკვეთა).

სკოლა ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების პროგრამას განათლების სამ საფეხურზე: I საფეხური (დაწყებითი) წარმოადგენს საბაზო განათლების მიღების საფუძველს და ითვალისწინებს მოსწავლეთა საერო განვითარებას, მათში წერის, კითხვის, ანგარიშის, სწავლის ძირითადი ჩვევების, თვითშეფასების, ლოგიკურ-მათემატიკური, ენობრივი და სხვა უნარების გამოვლენას; კულტურული ქცევისა და მეტყველების ჩამოყალიბებას, პირადი ჰიგიენისა და ცხოვრების ჯანსაღი სტილის აღზრდას. II საფეხური

(ძირითადი საბაზისო და პროფილური) ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ზოგადი, საბაზისო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, პიროვნების ფორმირებასა და ჩამოყალიბებას, ბავშვთა მიდრეკილებების, ინტერესებისა და უნარების განვითარებას, სოციალურ და პროფესიონალურ თვითგამორკვევას, ეს საფეხური წარმოადგენს საშუალო განათლების მიღების საფუძველს.

III საფეხური (ლიცეუმი) ითვალისწინებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო (სრული) კურსის ათვისებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი ინტერესების განვითარებას, დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის უნარის ფორმირებას დიფერენცირებული სწავლების საფუძველზე (სავალდებულო დისციპლინების პარალელურად ინერგება არჩევითი დისციპლინების კურსი მოსწავლეთა ინტერესების, მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით).

რადგან სკოლა სულ ოთხი წელია რაც დაფუძნდა, ჯერჯერობით სწავლება მხოლოდ პირველ საფეხურზე მიმდინარეობს და დღეს აქ 120 გოგონა და ბიჭი სწავლობს.

ფაქტობრივად, „ბინული“ ნახევრად პანსიონატის ტიპის სასწავლებელია, ბავშვები დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე არიან აქ. გაკვეთილების შემდეგ აქვე ამზადებენ საშინაო დავალებებს და აქვე ივვებებიან. აქ ისეთი გარემოა, რომ ძალდატანება სწავლების პროცესში გამორიცხულია. აქ არავინ – არც მასწავლებლები და არც მოსწავლეები – ამბობს, ეს ბავშვი ხუთოსანია, ეს კი სამოსანიაო. უნარ-ჩვევების გამომუშავება პირველი კლასიდანვე ტესტების მეშვეობით ხდება, რომლებიც ისეა შედგენილი, რომ აუცილებლად შეიცავს თვითშეფასებისა და მონიტორინგის, უკვე ნასწავლის გამოყენების ელემენტებს.

კიდევ ერთი ძალზე საინტერესო და მისასალმებელი თავისებურება „ბინულის“ ცხოვრებაში ბავშვების ფიზიკურ აღზრდაზე გამახვილებული აქცენტია. მთელ საქართველოში ეს არის ერთადერთი სასწავლო დაწესებულება, სადაც ბიჭებს პირველი კლასიდანვე ასწავლიან რაგბის. უნდა ნახოთ რა სიამოვნე-



ბით ვარჯიშობენ ახლავე ჩემპიონობაზე მეოცნებე პატარა რაგბისტები. სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა ფიზიკურ წრთობასთან ერთად რაინდულ თვისებებს გამოუმუშავებს ბიჭებს, ურთიერთთანადგომას, ლელოს გატანას, გამარჯვებისკენ სწრაფვას და დამარცხების ღირსეულად გადატანას ასწავლის მათ. გოგონებს მხატვრულ ტანვარჯიშში უტარდებათ მეცადინეობები, ცურვაზე კი გოგონებიც და ბიჭებიც (რაგბიც, ტანვარჯიშიც და ცურვაც საგაკვეთილო პროცესის ნაწილია და არა სექციური მეცადინეობა) ერთად დადიან. სკოლას აქვე, თავის ტერიტორიაზე აქვს რაგბის მოედანიც, აუზიც და სპორტული დარბაზიც. სპორტული ბაზების და საერთოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-მოწესრიგებაში „ბინულს“ ძალიან დაეხმარა ბატონი გოგი თოფაძე, რომლის მეცენატობის წყალობით აქაური გოგო-ბიჭები ზამთრის არდადეგებს გუდაურის ზამთრის ბანაკში ატარებენ და სამთო-სათხილამურო სპორტის სახეობებსაც ეუფლებიან.

„ბინულში“ ბავშვების სულიერებაზეც მუდმივად ზრუნავენ. მყუდრო სამლოცველო ოთახში პატარები ლოცულობენ, აქვე უტარდებათ მათ საუბრები რელიგიაზე, ცოდვა-მადლზე, მათ განკარგულებაშია სხვადასხვა სახის ლიტერატურა. თუ რომელიმე უნებურად იცრუებს, იჭორავებს ან ამხანაგს დააბეზღებს, ცოდვის მოსანანიებლად აუცილებლად სამლოცველოს მიაშურებს. საერთოდ კი ბინულელები ქაშუეთის ეკლესიის მრევლს ეკუთვნიან, მათი მოძღვარი მამა ელიზბარიც ამ ეკლესიაშია.

„ბინულის“ მესვეურებს, ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს სკოლის მომავალთან დაკავშირებით არა ერთი საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა აქვთ, რომელთა ხორცშესხმა კვლავ და კვლავ ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველოს აშენებას წაადგება სასიკეთოდ, ხოლო ის, რაც აქ არსებობის სულ რამდენიმე წელიწადში გაკეთდა, და რაც დღეს კეთდება, სრულ საფუძველს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ ყველა სამომავლო ჩანაფიქრიც უთუოდ განხორციელდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივანე ჯავახიშვილი

## მომავალი კიდევ ბევრჯერ გამოვიხმობს წარსულიდან

**გრიგოლ რობაქიძე**

1907 წელს საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი ჭავჭავაძე ილია, რომლის თანდასწრება მთელ კრებას საზეიმო იერს ჰფენს. მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონებით უკვე მოწიფული, სწორი, კეთილმოყვანილი სახე, მყუდრო ძლიერების მეტყველი. უბადლო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა: თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალას ხიბლად იფრქვევა. დინჯი, აუჩქარებელი – რადგან პასუხსაგებ საქმით დატვირთული. მორიდებული უფრო ვიდრე უკარებელი შინაგან შეკრივული და არა გულჩათხრობილი – უდრეკი, ურყევი – რადგან მტკიცე და მყარი. მაგარი როგორც კუნძი და უდრუო ვითარ ძელქვის ნამორი. თითქმის „ჯიუტი". არ დამთმობი ერთხელ აღებული გეზისა. ლაპარაკობს ნელა, პაუზებით. ეტყობა – სწონის და ზომავს ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება – ალბათ ცდილობს, არც მეტი თქვას არც ნაკლები, არც ერთხელ ხმის ამაღლება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი. დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას – და გრძნობენ თანდათან, რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელ, ან უკეთ: რაღაც იმართება. ასე ტკბილი და ძალის მომგვრელი. საქართველოს ხერხემალი? სწორედ ეს და მხოლოდ ეს. თავდება მოხსენება. მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაუღალავი მოურავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამცნევს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის გახარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას – რიგიდან რიგებს – ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს, ბოლოს ეს „განაჩენი" მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება – თითქო სურს გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!" ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია.

გადის რამდენიმე თვე. საქართველოს თავს ატყდება დიდი უბედურება: წიწამურის ველი ირწყვება



დიდი ქართველის სისხლით, მკვლელი ქართველთა ნაშიერია, რაიც კიდევ უფრო ამძაფრებს ტკივილს. დიდია გლოვა და ვაება. ხოლო საოცარი და საცნაური ერის მიერ ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა თანდათან „მსხვერპლის" სახეს იღებს – მსხვერპლის, რომლის საიდუმლოება სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა და აი: წიწამურის ველიდან დღითიდღე კიდიდან კიდემდე, მთელს საქართველოს არეში ეს უცხადესი ძალა – ვლინდება უშუალო ქმედებით ეს ქვეშეცნეული. ყოველ ქართველში – რომელშიც ღვივის კიდევ ოდნავ მაინც, ცეცხლი, კარდჰუს თესლისა – ყოველ ქართველში იღვიძებს საქართველო – იღვიძებს არა წილობით, არამედ მთლად: იღვიძებს მთელი საქართველო, მთელი მისი ბედით. არც ერთი მეჩმე ქართველი არ რჩება ეხლა განზე განაპირებული, ყოველი მათგანის გზა მიდის ამიერიდან ამ მსხვერპლის ნიშნით. ხოლო ერთი კაცი, რომელიც მთელი თავისი არსით საქართველოს საუკუნეებში გაწვდილ წიაღშია გადასული, ალბათ, ყველაზე უფრო ღრმად განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას. ეს კაცი უთუოდ ივანე ჯავახიშვილია. სიხარული, ილიას გახარებით შობილი, ეხლა მისთვის „კურთხევად" იქცევა. ხოლო კურთხევა მოწოდებაა და დანიშნულება. ილია იღწვოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით. კურთხევა-მიღებული სწავლული ხედავს ეხლა ნათლივ, მან უნდა განაგრძოს გზა, მეტად მძიმე, გარნა მეტადვე საშური. მაგრამ როგორ? ჯავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე, გამოიკვლევს საქართველოს თავგადასავალს – იგი ამით დაეხმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ეს არის ეხლა მისი უღრმესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს გაიგო „ვინა ხარ", უნდა შეიგნო „ვინ იყავ", გინდა იქცე „რამედ", უნდა შეიტყო „რა განვლე", „საითკენ?" მიზანშეწონილია მაშინ, თუ ესეც იცი „საიდან?" ისტორია არის არამარტო ხსოვნა წარსულისა – იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჯავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას, უამრავი სიძნელენი იმართებიან მის წინ: ევროპაში ისტორიული კვლევა გაადვილებულია. სწავლულს აქ ყოველი დარგი გაკაფული ხვდება წინ, ყოველი მასალა დალაგებული, ჯავახიშვილი კი თითქმის ყველაფერს პირველად უნდა შეეხოს. იგი მაინც

იმედნეული იკაფავს გზას, იშველიებს რა ყოველგვარ საჭურველს სიძნელეთა დასაძლევად. იგი სწავლობს ევროპასა და რუსეთში: ენებს, როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთისა. პალეონტოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ხუროთმოძღვრებას — ხოლო ყოველი ეს ჯერ კიდევ მზადებაა მხოლოდ და მასალასთან მიახლოვება.

იწყება დაუღალავი, ნაყოფიერი შრომა. ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქაც ივანე ჯავახიშვილია: თავგანწირვით — რომელიც უმაგალითო თუ არა სამაგალითოა — აგრძელებს იგი ერთხელ დაწყებულ საქმეს. აგროვებს საქართველოს ყოფიდან ყოველგვარ მასალას — ძველ ხელნაწერს, ნახატს, ნახაზს, გადმოცემას, სიგელს — და კიდევ რას? აგროვებს მასალას, არჩევს და იკვლევს და ალაგებს მას. ხოლო მასალა უფრო და უფრო ხვავდება. ჯავახიშვილი ეხლა იკრებს მთელს ჯგუფს ახალგაზრდა მკვლევართა: თანამშრომელთა და დამხმარეთა. ჩაღდება უმაგალითო მუშაობა. „ქართველი ერის ისტორია“ — მთავარი შრომა ჯავახიშვილისა — იზრდება თანდათან თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე. ეს არაა ჩვეულებრივი „ისტორია“. იგი უფრო ენციკლოპედიაა. ყველაფერია აქ განხილული: ქართველთა წარმოშობა, ნათესავ ტომთა ერთ ერად ქცევა და ჩამოსხმა, ქართული ენა, ნივთიერი და სულიერი კულტურა საქართველოსი, ხელმწიფების დგენა და განმტკიცება მისი. ბედი თუ უბედობა, მარჯი თუ მარცხი — ყველაფერია აქ განხილული. და მერე როგორ? აიღეთ ნიმუშად განხილვა ქართული სიტყვისა „მზე“, რომელსაც ამ ნაშრომში თითქმის მთელი სამი გვერდი უჭირავს. ეს განხილვა სწორუპოვარი ცდაა ენის შინაგანი დონის, მისი მითიურ-მსახიერებელი ცნევისა. და ასე ყველგან, ყოველ დარგში. დროდადრო იგი ამ ნაშრომს სხვადასხვა ნარკვევებით ავსებს და ამარაგებს, იგი იკვლევს ქართულ სამართალს, ქართულ ეკლესიას, ქართულ ხუროთმოძღვრებას, ქართულ მხატვრობას, ქართულ მუსიკას, გეოგრაფიას, დამწერლობას, არქეოლოგიურ ნაშთებს — და კიდევ რას? ქართულ მევენახეობასაც კი! და მერე: რა სიყვარულით და გულმოდგინებით! არ დარჩენილა არც ერთი ლერწი, რომელიც მას „რაობის“ მიხედვით არ განეხილოს. არ დარჩენილა არც ერთი მტევანი, რომელიც მას „თვისების“ მხარით არ განეხილოს. მტევნის მარცვალიც რაა — მისი მნიშვნელობაც კი აქვს გაშუქებული და ასე ყველგან, ყოველ დარგში.

დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი. მის ისტორიულ ნარკვევში — აქ მეხმარება გენია ქართული სიტყვისა — მონივთულია „ცხოვრებაჲ ქართულისაჲ“. დიახ — „მონივთული“. ეს ქართული სიტყვა, სხვა ენაზე უთარგმნელი, სწორუპოვრად მარტავს ნაშრომს ჩვენი ისტორიკოსისა. მომავალი მეისტორიე, რომელიც დაისახავს მიზნად აღმოაჩინოს ქართველთა ვითარებაში მსოფლიო ქცევის ერთ-ერთი გულისხმიერი სახეობა — ჯავახიშვილის მიერ „მონივთულ“ თავგადასავალში საქართველოისა იპოვის ყველაფერს დასახულის მისაღწევად. მაშინ დაფასდება იგი საბოლოოდ როგორც მკვლევარი — წინამორბედი. ხოლო ჩვენთვის დღესაც ნათელია ერთი რამ: ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასგან იდუმალი გზით მიღებული. და ამით უკვდავჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში.

*პ.ს. ზემოხსენებულ მოხსენებას ჯავახიშვილისა მე არ დავსწრებივარ. იმ ჟამად უცხოეთში ვიყავ. თუ როგორ შეხვდა ამ მოხსენებას ილია ჭავჭავაძე — ეს ამბავი გაგონილი მაქვს განსვენებულ ვალერიან გუნიასაგან. სხვათა შორის: უკანასკნელი უზომო თაყვანისმცემელი იყო ილიასი, რომლის სახელს იგი იცავდა როგორც თავდადებული რაინდი.*

გ.რ.

## სიტყვის ქონა



**ბიჭინი** — შვლის ნუკრის კიკინი

**ბირდაბირი** — გამწევ ხერხი, რომლითაც ორი პირისპირ გაჩერებული კაცი ხერხავს

**ბლიკვი** — მუშტი, რომელშიც ცერი თითებ ქვეშაა მოკეცილი

**ბოდოშა** — უსუფთაო, აჩაჩულ-დაჩაჩული, სიკოხტავეს მოკლებული ქალი

**ბონდი** — მდინარეზე გაბმული ბაგირის ხიდი

**ბორჯღლი** — მსხვილი ტოტის განაყოფი

**ბოტი** — მამალი დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი

**ბოღლიწო** — ღვინოში ჩამბალი პური

**ბოჟკინტი** — პატარა ბოძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობა გრძელდება



მეორე წელია რაც თბილისის იან ამოს კომენსკის სახელობის 24-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელი ი. კუხიანიძე – ლაშქარაძე) გერმანიის ქალაქ ოსნაბრიუკის იოჰანეს სკოლის თანატოლებს დაუმეგობრდნენ.

ოსნაბრიუკის სკოლის პედაგოგი ქალბატონი მეხტჰიდ შნიტცლერი, მისი მოსწავლეები და თბილისელი ბავშვები ერთმანეთს დააკავშირა იოჰანეს სკოლის ქართველმა მოსწავლემ ანა მეკინულაშვილმა, რომლის ბებია გახლავთ ი. კუხიანიძე-ლაშქარაძე.

მეგობრობა კი ასე დაიწყო:

შარშან ქართველმა მოსწავლეებმა გერმანელ ბავშვებს გაუგზავნეს საშობაო საჩუქრები, ფოტოსურათები და მეგობრობა შესთავაზეს. ქალბატონი მეხტჰიდი დაინტერესდა თბილისიდან მიღებული წინადადებით და დამეგობრების მსურველთა გასაცნობად მეუღლესთან ერთად ჩამობრძანდა საქართველოში.

24-ე სკოლის პირველკლასელებმა საპატიო სტუმრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. პატარებმა გერმანულ ენაზე შეასრულეს საგანგებოდ ამ დღისთვის შესწავლილი გერმანული სახელმწიფო ჰიმნი, ააფრიალეს გერმანული და ქართული დროშები. მხიარულ კონცერტზე შესრულდა ლექსები და სიმღერები გერმანულ ენაზე. გერმანელმა სტუმრებმა ქართველ მოსწავლეებს საჩუქრად გადასცეს სასწავლო ნივთები. სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნავი ადგილები, გადაიღეს უამრავი სურათი, გაეცვნენ ქართულ ადათწესებს.

სამშობლოში დაბრუნებულმა გერმანელმა მეგობრებმა ოსნაბრიუკის იოჰანეს სკოლაში მოაწყვეს თან წაღებული ჩვენი მოსწავლეების ნახატებითა და ფოტოსურათებით გაფორმებული სტენდი.

სექტემბერში ოსნაბრიუკელებმა თბილისელ თანატოლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრებიც გამოუგზავნეს. ახლოვდება შობა-ახალი წელი და ქართველი მოსწავლეები ახლავე იჭერენ თადარიგს გერმანელი მეგობრებისთვის საჩუქრების მოსამზადებლად.



მოთხრობა

## მანანა გელაშვილი

# ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს

სადარბაზოს კედლების წინანდელი, უკვე გამოხუნებული და ნახევრადწაშლილი წარწერების გვერდით სწორედ მატრაკვეცა გოგონების ხელით გამოყვანილი „ეკა+მაკა+თეა+ნუცა= განუყრელ მეგობრებს“ ქვევით ერთ მშვენიერ დღეს ვარდისფერი ცარცით მიწერილი ახალი წარწერა გაჩნდა: „ზორო მეოთხე სართულზე ცხოვრობს“, ბოლოში კი ზოროს ცნობილი ნიშანი იყო მიხატული. დილა-საღამოს სამსახურში წასვლისას და დაბრუნებისას ძალაუნებურად თვალში მხვდებოდა ეს აშკარად რვა-ცხრა წლის ბავშვის ხელით გამოყვანილი განცხადება, უკვე ასოების მოყვანილობაც ზეპირად ვიცოდი და გარკვეული დასკვნებიც გავაკეთე – ასოების გადაბმა არ ჰყვარებია ყმაწვილს, ეტყობა „უ“-ს კბილების გამოყვანაც უჭირს, აი, „ზ“ კი კოხტად გამოუდის...

ერთხელაც ლიფტი გაფუჭებული დამხვდა და ფეხით ავუყევი კიბეს. ვარდისფერი წარწერა და ზოროს ნიშანი ყოველი სართულის ათავებისას მეფეთებოდა თვალში. ჩემი ბინის კარს რომ მივადექი, მაშინღა დავფიქრდი – კი მაგრამ, მეც ხომ მეოთხე სართულზე ვცხოვრობ, ვინ არის ამ ჩემს სამ მეზობელ ოჯახში ზორო? კარის მეზობელი ხნიერი, შვილებდაფრთიანებული ცოლ-ქმარი თავიდანვე გამოვრიცხე. მოპირდაპირე ბინაში მცხოვრებ აბუსერიძეებს კი ჰყავთ ოთხი ვაჟი – ბაქარი, ფარნა, ნიკო და ერეკლე, მაგრამ ისინი 20-25 წლისანი არიან, ისე, რომ არა მგონია, იმათგან რომელიმე ზოროობას ჩემულობდეს... მე ვარ და მარტო ვცხოვრობ... აბა წყალობაშვილთაგანი ყოფილა რომელიღაც... რა თქმა უნდა, არც ემზარი და არც მისი ცოლი, არც



ქალბატონი ეფემია და ბატონი ესტატე სათვალავში არ უნდა მივიღო... რჩებიან ბავშვები – ერთთავად წიგნებში ცხვირჩარგული ნინო, ჭინკა ქეთინო და გალეული, მუდამ ქოჩორგადალოკილი თედო, კისერი რომ წაწვეტაზე აქვს. უფრო ქეთინოზე ვიფიქრე, ის იყო ყველაზე მოუსვენარი და ცელქი და-ძმებში კი არა, ლამის მთელ ჩვენს ეზოში, ამხანაგებადაც ბიჭები ჰყავდა და თამაშითაც სულ იმათთან თამაშობდა. ხან ხეზე იყო აჩაჩხული და ხან ველოსიპედს დააქროლებდა ეზოს გარშემო. თან ხომ ფარიკაობის სექციაშიც მეცადინეობს – კიდევ უფრო გავიმტკიცე ვარაუდი. ეტყობა, ტელევიზორში ნახა ფილმი „ზოროს ნიშანი“ და როგორც ხანდახან ემართებათ ხოლმე მისი ასაკის გოგონებს, თავი გმირად, ზოროსავით ჩაგრულთა ქომაგად და უსამართლობასთან მებრძოლად წარმოიდგინა-მეთქი – დავასკვენი. ერთხანს კი ვადევნე თვალი ჩემი აზრით „ზოროდქცეულ“ ქეთინოს, მაგრამ ახალი ვერაფერი შევატყვე და მოვეშვი, ვარდისფერ წარწერასაც შეეჩვია თვალი და ზოროს ამბავიც გადამავიწყდა.

ერთ საღამოს ქალბატონი ეფემია და თედო დამემგზავრნენ. ბიჭი თავაუწევლად მომესალმა, თავაზიანად შეგვიშვა მე და დიდედა ლიფტში და ისევე თავაუწევლად შემოგვყვა უკან.

– ნახეთ, ერთი, ამ რაინდის „კაიკაცობა“, – ქალბატონმა ეფემიამ შვილიშვილს ხელი ნიკაპში ამოსდო, თავი ააწევინა და შუბლზე ჩამოჩაჩული ქოჩორი გადაუწია. თედოს მარჯვენა თვალის უპეც და ქუთუთოც მთლად ჩალურჯებოდა და შესიებული ჰქონდა.

– კი მაგრამ, მე თედო ისეთი წყნარი და უწყინარი მეგონა....

– არა, წყნარი და უწყინარი მართლაც არის, მაგრამ გოგონებს

გამოსარჩლებია, ბიჭები აწვალებდნენო... ხომ დაინახე, რომ ბევრნი იყვნენ, რაღად შეები, შენ იმათი მომრევი იყავი, სული ძლივს გიდგია? – ბრაზობდა დიდედა.

– აბა, გოგონებს აწვალებდნენ და... – თავი იმართლა თედომ.

ერთი კვირის შემდეგ ბათუმში მომიწია წასვლამ. რამდენიმე დღეში უკანვე დავბრუნდი, მოვდივარ სადგურიდან და ვნახოთ, ქალბატონი ეფემია და თედო შემომხვდნენ ქუჩის ბოლოში. თედოს თავი ჰქონდა შეხვეული, დოლბანდი ზედ ცხვირამდე უწევდა და ეტყობოდა, აწუხებდა, წამდაუწუმ ხელს იგიდებდა. დიდედა უჯავრდებოდა და დოლბანდის ზევით აწევის ნებას არ აძლევდა.

– რა მოხდა, ქალბატონო ეფემია? – შევშფოთდი.

– რა ვიცი, რა ვიცი.... სულ გადაგვერია ბიჭი! გაკვეთილზე რომ მეგულებოდა და სადილის თადარიგში ვიყავი, სკოლიდან დამირეკეს, თქვენმა თედომ ჩხუბში თავი გაიტეხაო. გულზე შემომეყარა, ვერც ამის დედ-მამას დავურეკე სამსახურში, ვერც ესტატეს მივაწვდინე ხმა, ესევე, როგორც ვიყავი საშინაოდ ჩაცმული, გავვარდი სკოლაში და ასე თავგატეხილი დამხვდა ექიმის კაბინეტში წამოსკუპებული. ვერაფრით ვერ ვათქმევინე, ვინ გაუტეხა თავი, ესეთი კემუტია... აუჩემებია, ზედახორა იყო და მე ქვეშ მოვყევიო, გოგოებმა კი ამბავი მომიტანეს, მეექვსეკლასელმა ბიჭებმა კატა გადააგდეს მესამე სართულიდან, უნდა შეემოწმებინათ, მართლა ფეხებზე დახტებოდა თუ ზურგით დაეცემოდა, და იმათ აუტეხა ჩხუბიო... მიეეავდნენ, აბა, რა იქნებოდა, ან როგორ გაბედა თავისზე ოთხი-ხუთი წლით დიდ ბიჭებთან ჩხუბი?

– აბა, კატა გადააგდეს მესამე სართულიდან და... – წაიკნავლა თედომ.

– არა, არა, ისევ მამაშენმა უნდა მოგკიდოს ხელი, თორემ რაც დრო გადის, სხვანაირ ზნეს იჭერ, მე აღარ მეპუები...

– დამშვიდდით, ქალბატონო ეფემია, ისეთი არაფერი მომხდარა, – ვცადე აღელვებული დიდედას დამშვიდება.

–რაღა არაფერი, გენაცვალეთ, ბავშვს თავი გაუტეხეს და...

უხერხულობა ვიგრძენი და აღარაფერი ვუპასუხე.

ისე მოხდა, რომ კვლავ ათიოდე დღის შემდეგღა შემხვდა თედო. ამჯერად თავის უფროსი და, ნინო ახლდა. ცალი ხელით სახელმძღვანელოებით, რვეულებით და ალბათ კიდევ ათასნაირი რჯინისა თუ მაგნიტის ნატეხებით, ფერადი ბურთულებითა და ჭანჭიკებით სავსე ჩანთას მოათრევდა, მეორე ხელი კი რაღაც უხერხულად მოხრილი მოჰქონდა. რომ მომიახლოვდა, მაშინღა მივხვდი, – ხელი იდაყვამდე თაბაშირში ჰქონდა ჩასმული.

– მომეცით, მოგეხმარებით, – მითხრა თედომ და ჩემს სანოვაგით დატვირთულ ჩანთას წაეტანა.

– არა, გენაცვალე, გმადლობ, მძიმე არ არის, – ვიუარე, –ხელზე რა დაგმართნია?

ბიჭმა თავი დახარა.

– რა ვიცი,აბა... კიბეზე ჩამოვრბოდი...

- თურმე მათემატიკის მასწავლებელს უნდა დასწეოდა, – წამოეხმარა ძმას ნინო, უნდა დაემტკიცებინა, რომ ილია მებუკეს უსამართლოდ დაუწერა „ორიანი", სიჩქარეში წაუფორხილებია და კიბეზე დაგორებულა.

– უსამართლოდ დაუწერა „ორიანი" და... – ჩაილაპარაკა თედომ და თავი დახარა, ნაჭრილობევზე აჭრილი თმა ამოზრდოდა და სასაცილოდ ედგა ყალყზე.

გამელიმა, ბიჭის მოფერება მინდოდა, თავზე ხელი გადავუსვი და უცებ მივხვდი – ჩემ წინ ზორო იდგა ზორო, რომელიც მეოთხე სართულზე ცხოვრობს...

## ანზორ აბულაშვილი

## მომავალი თაობისადმი

მოშრიალე ტყე ხარ ნორჩი –
გასაზრდელი მუხად, მელქვად,
ღირს იყავი – დავით მეფის
შვილი, შვილიშვილი გერქვას.
გრძნობდე დროის ფრენა-ქროლას,
იმის მდუღარ გულის ფეთქვას
და სიმართლეც პირუთვნელად
ქვეყნის სასიკეთოდ გეთქვას.
ამას ვამბობ არა ჩუმად,
სუყველასთან რომ არ ითქმის,
ანდა მველის საქებრად და
მკერდზე მუშტის ბრაგუნისთვის.
არც მტვრიანი ლოზუნგების
მველებურად ფრიალისთვის,
მით უმეტეს, არც ტაშისთვის
იმის მჭახე გრიალისთვის...
არა, გასახარო ნერგო,
სხივო ამომავალ მნათის,
მზადყოფნას გთხოვს სიტყვა ესე
მარად მძიმე უღლისათვის,
სურვილს არაყოლისათვის,
კაცურ ცოდვა-მადლისათვის,
ზოგჯერ მამა-გლოვისათვის,
ჯვარცმა-თავდადებისათვის,
წმინდა სიყვარულისათვის,
ნამუსიანობისათვის,
უფროს-უმცროსობისათვის,
მოძმის სამსახურისათვის,
ხშირად მიტყვებისათვის,
უფრო ტკივილებისათვის,
ცოტაც სიხარულისათვის...
ფხიზლად ჭვრეტდე დღეის ყოფას,
გამრჩევ იყო მტყუან-მართლის,
მინდა შენი სულის შუქი
ნათელს ჰგავდეს წმინდა სანთლის
არასოდეს გეღალატოს
შენი მძიმე უღლისათვის,
შენი სიყვარულისათვის,
შენი მზის და მთვარისათვის,
ათი წმინდა მცნებისათვის,
ადამიანობისათვის.
და ამ დიდი სალოცავის –
დიდი საქართველოსათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დასამახსოვრებელი სახელები

# ძმები ამაღლობელები

## გიგა



ოთხი წლის იყო გიგა, როდესაც მამამ ჭადრაკის დაფაზე ფიგურების განლაგება და სვლები ასწავლა, ხოლო ხუთი წელი რომ შეუსრულდა, ბიჭი ჭადრაკის სასახლეში მიიყვანეს, სადაც ამ ბრძნული თამაშის ანბანას პირველი მასწავლებლის, ლელა თანდაშვილის დახმარებით ეზიარა. რამდენიმე თვის შემდეგ გიგა მაკა ხანთაძის ჯგუფში მოხვდა და ქალბატონი მაკა დღესაც მისი მწვრთნელია. მასწავლებელი თავის მოსწავლეში მზარდ, საინტერესოდ მოაზროვნე მოჭადრაკეს ხედავს და მისი დიდი იმედიც აქვს. საამისო საფუძველს კი მას გიგას მიერ სხვადასხვა ტურნირებში მიღწეული საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები აძლევს: 1997 წ. – I ადგილი საკვალიფიკაციო ტურნირში და III თანრიგი; 1999 წ. – II ადგილი საკვალიფიკაციო ტურნირში და II თანრიგი; ამავე წლის ნოემბერში გიგამ მსოფლიო და ევროპის შესარჩევ ტურნირებში თამაშის უფლება მოიპოვა; 2001 წ. – II ადგილი ნონა გაფრინდაშვილის იუბილისადმი მიძღვნილ ტურნირში; 2002 წ. – II ადგილი საკვალიფიკაციო ტურნირში და I თანრიგი. პირველთანრიგოსანი გიგა ამაღლობელი ამჟამად ეროვნული ოსტატობის კანდიდატობისთვის ემზადება.

გიგა თბილისის გ. ჭანტურიას სახელობის 68-ე საშუალო სკოლის IX კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა, ყველა საგანს ერთნაირი ხალისითა და ინტერესით სწავლობს, გამორჩეულად კი მაინც მათემატიკა და ისტორია უყვარს. უკვე რამდენიმე წელია გაერთიანებულია მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ისტორიის წრეში. 2002 წელს ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკურ შეკრება-კონკურსზე გიგამ წარადგინა ნაშრომი „საქართველოს მოჭადრაკე ქალები", რომლისთვისაც განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. გიგა თ. სულაქველიძის სახელობის ფეხბურთის აკადემიაშიც დადის, ინგლისურსაც სწავლების გაძლიერებული კურსით ეუფლება და ყოველივე ამასთან ერთად მუსიკასაც სწავლობს.

ყველაფერი ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ახლავე ეყრება საფუძველი გიგას ჰარმონიულ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ახალ საქართველოს ხომ პირველ რიგში ასეთი ადამიანები დასჭირდება და გიგა ამაღლობელიც სულ რამდენიმე წელიწადში ჩადგება იმათ შორის, ვინც ქვეყნის განვითარების მიმართულებები უნდა განსაზღვროს.

მას ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, რომელ პროფესიას, საქმიანობის რა სფეროს აირჩევს, დღესდღეობით კი მის უმთავრეს გატაცებად და სიყვარულად ჭადრაკი რჩება, საყვარელ მოჭადრაკეებად კი ზურაბ აზმაიფარაშვილი და მაია ჩიბურდანიძე. გიგა კეთილი, გულალალი, თბილი და ხათრიანი ყმაწვილია, ამიტომაც უყვართ სამეგობრო-საამხანაგოში, ამიტომაც უთმენს და უთმობს ბევრ რამეში უმცროს ძმას, ლაშას, ბევრ რამეში, ოღონდ არა ჭადრაკში. ჭადრაკის დაფასთან ძმები ერთმანეთში მხოლოდ მეტოქეებს ხედავენ და შესაბამისადაც პაექრობენ.

## ლაშა



ლაშაც 68-ე საშუალო სკოლაში სწავლობს, ოღონდ ის VIII კლასის მოსწავლეა. რომ უყურებდა, როგორ ხსნიდა უფროსი ძმა საჭადრაკო ამოცანებს და როგორ არჩევდა პარტიებს, თვითონაც მოინდომა ჭადრაკის სწავლა და მშობლებმა ისიც ჭადრაკის სასახლეში მიიყვანეს ქალბატონ მაკა ხანთაძესთან. მაშინ ის ექვსი წლის იყო. ნიჭიერმა ბიჭმა ადვილად აუღო ალღო ამ უძველეს თამაშს, მოკლე ხანში გაერკვა მის საფუძველსა და არსში. დაწყებული 1998 წლიდან ლაშამ, საფეხურ-საფეხურ გაიარა საკვალიფიკაციო ტურნირები (1998 წ. – III თანრიგი, 2000 წ. – II თანრიგი), ხოლო მას შემდეგ რაც 2003 წლის მაისში გამართულ ტურნირში 7-დან 6 ქულა დააგროვა, I თანრიგი დაიმსახურა და იმავდროულად ეროვნული ოსტატობის კანდიდატის წოდების მოსაპოვებლად ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა. თუმცა ჭადრაკი ძალიან უყვარს და მოსწონს, მაგრამ როგორც მისი ასაკის ბიჭების უმრავლესობა, ლაშა ფეხბურთითაც არის გატაცებული და რაღა თქმა უნდა, გიგასთან ერთად ფეხბურთის აკადემიაში ისიც დადის და მასთან ერთად ოსტატდება სპორტის ამ სახეობაში.

ჭადრაკშიც და ფეხბურთშიც წარმატებების მიღწევაში ლაშას ნიჭის გარდა, ძალიან ეხმარება ხასიათიც, რომლის მთავარი ნიშნები თვითდაჯერებულობა და მიზანმიმართულებაა. ბუნებით ცელქი და მოუსვენარი, თუ რამეს დაისახავს მიზნად, როგორც წესი, აუცილებლად აღწევს მას. სკოლაში ლაშა კარგად სწავლობს, ტექნიკური საგნებიდან განსაკუთრებით მათემატიკა და ქიმია უყვარს, ჰუმანიტარულებიდან კი ისტორია და ბუნება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლაშა სრულად გამოიყენებს თავის ნიჭს, მონაცემებს, ცოდნას, ხასიათს და რა სფეროც არ უნდა აირჩიოს სამოღვაწეოდ, ყველგან იტყვის თავის სიტყვას.

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## ინგლისი

### 9 წლის ბიჭი ზოოპარკში მუშაობს

9 წლის სკოტ სიმფსონი ზოოპარკის ყველაზე ნორჩი მუშაკია მსოფლიოში. იგი თავის მშობლებს მათ კუთვნილ ინგლისურ პარკში Para-



dise Willr park მელიების, აქლემების, ტარანტულებისა და ფაუნის სხვა მრავალი წარმომადგენლის მოვლაში ეხმარება. სკოტი ეგზოტიკურ ცხოველებს შორის გაიზარდა, მისი სახლი პირდაპირ პარკში მდებარეობს, ამიტომაც მას არც მგლების ეშინია და არც სხვა მტაცებელი ცხოველებისა. ბიჭი სულ პატარაობიდანვე დარწმუნებული იყო, რომ ვეფხვებიც და ლომებიც ძაღლისა და კატის მსგავსად ჩვეულებრივი შინაური ცხოველები არიან. სკოტს ძალიან მოსწონს თავისი სამუშაო, მით უმეტეს, რომ შრომაში ხელფასსაც იღებს და სხვა თანატოლების მსგავსად მშობლებისთვის ყოველდღე ჯიბის ფულის თხოვნა არ უწევს.

## ჩინეთი

### ჩაის სული

ინგლისელები რძიან ჩაის სვამენ, მონღოლეთში ჩაის ნაყენს კარაქს, ფქვილსა და მარილს უმატებენ, ამერიკელები ცივ ჩაიში ყინულის ნატეხებს ყრიან და ისე შეექცევიან მას. მთელ მსოფლიოში გავრცელებული ამ სასმელის სამშობლოში, ჩინეთში კი ჩაის მომზადებისა და დალევის მრავალსაუკუნოვან ცერემონიას დღესაც უცვლელად იცავენ. ამ ცერემონიას ჩინურად ჰქვია გუნ-ფუა ჩა, რაც „ჩაის სმის უმაღლეს ოსტატობას" ნიშნავს. ამ ოსტატობის საიდუმლოებას ჩინელები ბავშვობიდან ეზიარებიან. ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს: წითელი თიხის ჭურჭელს, ჩაის განსაკუთრებულ ჯიშებს, ძალზე სუფთა ან სულაც წყაროს წყალს, მთავარი კი განწყობაა. უძველეს დროში მიაჩნდათ, რომ ჩაის სული აქვს და თუ ადამიანს სევდა მოერია, ან გულზე დარდი აწევს, უმჯობესია ჩაი არ მოამზადოს.



## გერმანია

### რა სარგებლობა მოაქვს ძაღლს ბავშვისთვის?

გერმანელმა ფსიქოლოგებმა, რომლებმაც 11-13 წლის ბავშვების 400 დედა გამოჰკითხეს, დაადგინეს, რომ გოგო-ბიჭები, რომლებსაც შინ ძაღლები ჰყავთ, სხვებზე უკეთესადაც სწავლობენ და უკეთესადაც იქცევიან. როგორც მეცნიერებმა დაასკვნეს, ოთხფეხა მეგობრებთან ურთიერთობის წყალობით ბავში უფრო კეთილი, მშვიდი და სამართლიანი ხდება. ხოლო ძაღლის კვების, გასეირნების და საერთოდ



მოვლის მოვალეობა მის პატრონს პასუხისმგებლობის გრძნობასაც უღვიძებს და დისციპლინასაც აჩვევს.

## ბელგია

### მობილური ტელეფონები – უძილობის მიზეზი

ლეივენის უნივერსიტეტის მეცნიერ-მედიკოსებმა 2,5 ათასი მოზარდის გამოკითხვის შედეგად დაასკვნეს, რომ ბევრ მათგანს საკუთარი მობილური ტელეფონების გამო უძილობა დასჩემდა. გამოირკვა, რომ მთავარ მუქარის ტელეფონის მფლობელებს ტექსტური შეტყობინებები უქმნის: ყოველი მეხუთე მოზარდი გამოტყდა, რომ ღამ-ღამობით ხშირად იღვიძებს, რათა SMS-ის საშუალებით მეგობრებს შეეხმიანოს. თურმე „მობილურები" ცივილიზაციის სხვა სიკეთეებზე, თუნდაც ტელევიზორსა და ვიდეოთამაშებზე ბევრად უფრო სა-



შიში ყოფილა, რადგანაც ძილის პერიოდული შეწყვეტა დღის განმავლობაში მოთენთილობას იწვევს და უბედური შემთხვევების ალბათობასაც ზრდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვანიერას სკოლის მოსწავლეთა შემოქმედებას



## მე და ჩემი ორი ბაბუა

მე ორი ბაბუა მყავს. ორივე ძალიან მიყვარს, მათაც ძალიან ვუყვარვართ მე და ჩემი ძმები. ერთი ბაბუა სვანეთში მყავს, მეც მენატრება და მასაც ვენატრები, ერთი კი ლემშვანიერაში მყავს და მეც იქ ვარ. ისინი სადაც არ უნდა იყვნენ, სულ ჩემზე და ჩემს ძმებზე ფიქრობენ. ზაფხულობით სვანეთში რომელი ბაბუაც მყავს, ის ბაბუა ჩამოდის სანახავად, ხოლო მე როცა სვანეთში ვარ, აქაური ბაბუა ჩამოდის იქ ჩემს სანახავად. მე და ჩემი ბაბუები ყოველთვის მეგობრები ვიქნებით.

**გიორგი გულედანი, IV ბ. კლასი.**

## ჩემი სვანეთი



ათასი კოშკის მხარეა
ჩემი ლამაზი სვანეთი,
მკაცრი ბუნებით შემკული
სვანეთი, ჩემი სვანეთი.
ხალხი ამაყი, გულღია,
მტერთან მებრძოლი ბუნებით,
ასეთი საყვარელია
სვანეთი, ჩემი სვანეთი,
ხალხი ბუნებით მშრომელი,
მედგარი, შეუდრეკელი,
ზვიადი მთების პატრონი,
სვანეთი, ჩემი სვანეთი!

**ნინო შუკვანი, IV ბ. კლასი.**



**ოთარ ონიანი, IV კლასი**

## სიზმარი



**მარიკა კვანჭიანი, IV კლასი.**

თვალი დავხუჭე, და მესტუმრა
ტკბილი სიზმარი,
ვნახე, რომ ციდან მოწყვეტილიყო
დიდი ვარსკვლავი,
მე კი ჩავითქვი უცებ სურვილი და
მყისვე შესრულდა ჩემი ნატვრა, ნაოცნებარი,
მოვხვდი ზღაპრულ და დიდ სამყაროში,
სადაც მე ყველას ვუყვარდი ძლიერ,
სადაც ბოროტი კეთილს ვერ სძლევდა,
უცებ დამთავრდა ჩემი სიზმარი,
გამომეღვიძა, მივხვდი მწუხარი,
რომ არ ყოფილა რაც ვნახე ცხადი.

## ჩემი პატარა ნიკუშა

ჩემი პატარა ნიკუშა
ცისფერთვალება, ფუნთუშა,
ძალიან უყვარს თამაში,
ვერავინა ჯობს ამაში,
ცელქია, მოუსვენარი,
მაგრამ თუ შია მაშინ,
სულ აღარ ახსოვს არავინ.

**ხატია ღვაჩლიანი, III კლასი.**

## გაზაფხული

მოდის გაზაფხული,
მოდის სიხარული,
გამოაქვს ხეებს კვირტები,
მწვანდება მინდორ-ველები,
მოფრინდებიან მერცხლები
და სიხარულით გვამცნობენ –
მოდის გაზაფხული,
მოდის სიხარული!

**სალომე წერედიანი, IV კლასი.**






**ბაჩუკი იოსელიანი, IV კლასი**

## ჩემი მტრედი

(ნამდვილი ამბავი)

როცა პატარა ვიყავი, ერთი მტრედი მყავდა შემოჩვეული. ხელს რომ გავუწვდიდი, მოფრინდებოდა და ჩემი ხელიდან აკენკავდა საკენკს. მტრედი უჩემოდ ვერ ძლებდა, სულ ჩემთან იყო და ჩემ ირგვლივ დაფრინავდა.

ერთხელ მას კატა მიეპარა და ჩაავლო თავისი კლანჭები. მე მას ჩემი მტრედი გამოვტაცე, მაგრამ ვერაფერი ვუშველე.

მე ძალიან მწყდება გული. იმ დღიდან ვერ ვიტან კატებს, მძულს ისინი.

**ია კილასონია, IV კლასი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გეგი გულედანი, VII კლასი

## გაზაფხულს სიყვარული მოაქვს

მოდის გაზაფხული,
მოდის სიყვარული,
კვირტებს გამოყრის ტიტა,
მთა-ბარი ამწვანდება,
მინდორი ყვავილებით დაიფარება,
მოდის გაზაფხული,
კვირტებს გამოყრის ტიტა...

ხათუნა ფანგანი, IV კლასი.



* * *

ჩემს სიყვარულს თუ ვერ ხვდები,
წავალ შორს და გავფრინდები,
წავალ ვითომ არაფერი,
და ჩემს გრძნობას დავუდგები ფარად,
შენ ხომ ჩემთვის სიყვარული გენანება,
მე კი უკვე არც კი ვიცი, რა ვქნა...
ეს ფოთლებიც შენ გელიან,
მიყვებიან ულმაზეს ზღაპარს.

მარია კვიციანი, IV კლასი.

## ზამთარში

ო, გაზაფხულო, როგორ მომენატრა შენი სურვილი,
მზის სიცაშკაშე და სხივები ოქროსფერი...
ახლა კი თოვაა, ყვავილებიც არსად არ ჩანს.
სველმა თოვლმა ტალახად გვიქცია ეზო და ველი
ახლა ვზივარ და ვიხსენებ გაზაფხულს,
ჩიტების ჟრიამულს, ფოთლების შრიალს,
როგორ ცოცხლდებიან მწვანე ბალახები,
თვალებს როგორ ახელს ლურჯთვალა ია.
გაზაფხულო, მობრძანდი მალე,
მოგვენატრებია ბუნების სუნი,
როცა ირგვლივ გაზაფხული ტრიალებს,
გული სიხარულს ვეღარ მალავს...

ფიქრია ავალიანი, VII კლასი.



## გაზაფხულის მოსვლა

იამ თვალი გაახილა,
გაზაფხული მოდის,
ხემ ფოთოლი მოისხა
და ბალახიც ამოდის.
ბარტყები გამოიჩეკნენ
პაწიები, ნორჩნი,
ყვავილები აფერადდნენ,
გაზაფხული მოდის.

ნინო გიგანი, IV ა კლასი.



## სამშობლო

ჩემო სამშობლო ლამაზო,
ჩემო ზღაპრულო მხარევ,
შენი მშვენებით
დამტკბარი,
შენს სადღეგრძელოს
დავლევ.

თეონა შუკვანი,
VI კლასი.



ვასო ჩართოლიანი, VIIბ კლასი

## სვანეთი

ათასი კოშკის მხარეა
ჩემი ლამაზი სვანეთი,
მინდვრები საუკუნისა,
კოშკები საუკუნისა.
თამარ მეფესა სვანეთი
თურმე ძალიან უყვარდა.
ამიტომ ამბობს
ქართველი,
მეფე თამარი ყოველ
წელს,
ესტუმრებოდა სვანეთსო.
ახლა თამარის კოშკია
უშგულში შემონახული
ქართველი ამბობს —
თამარი
ალბათ, სვანეთში
დაკრძალეს,
მთებში, რომელიც
დედოფალს,
ყველაზე მეტად უყვარდა.

ნინო ხარძიანი,
IVბ. კლასი.

## ასე შეიქმნა სფინქსები



მე დამესიზმრა, რომ სფინქსი გაცოცხლდა. ჯერ ქარი ამოვარდა, ძალიან ჯადოსნური და ჯადოქრული იყო. ქარი ხომ მარტო ხმაურობს, ხანდახან სტვენს, ეს ქარი კი ნაცრისფერი იყო და მას ხედავდი. ჩვენ, პირველი კლასის მოსწავლეებმა, ფანჯრიდან გადავიხედეთ. ქარი დაწყნარდა და ვხედავთ – სფინქსი ძლივძლივობით დადის, იმიტომ, რომ ქვის არის, თანაც გველივით ენა აქვს შუაში გაყოფილი. ჩვენ მშობლებს ველოდებით, ისინი კი არ მოდიან. ჩვენ ძალიან ვღელავთ, მაგრამ ისინი მაინც არ მოდიან.

მე ერთი მეგობარი მუხა მყავდა და იმასთან წავედით. მუხას ჰქონდა ფუღურო. გარედან ჩვეულებრივი იყო, მაგრამ თუ გვერდებზე ხელს მოჰკიდებდი, გაიწეოდა და თავს შეყოფდი. შიგ წყალი იდგა, მაგრამ სინამდვილეში ზღაპრული სარკე იყო. მე ვკითხე, სად არიან ჩვენი მშობლები-მეთქი. უცებ დაიხატა სფინქსი. ის ასეთ გამოცანას ამბობდა: „დილით დადის ოთხ ფეხზე, შუადღისას ორ ფეხზე, საღამოს კი სამ ფეხზე“. ვაიმე, ასეთი გამოცანა არც გამეგონა! ისე, მგონი, სფინქსი ბრაზიანი არ იყო, მშობლებს გამოცანას ეტყოდა და თუ ვერ ახსნიდნენ, ქარს გამოუშვებდა და გააქვავებდა. მე მგონი, სფინქსს ქანდაკებები უყვარდა.

ჩემმა მეგობარმა თაკომ თქვა: იგი ძალზე დიდიაო, ნინომ კი თქვა: მას ენა ორად აქვს გაყოფილი, გველივით, ხოლო ანამ თქვა: ის ჩვენც გაგვაქვავებსო. მე ვუთხარი ჩემს მეგობრებს: თქვენ რაც გინდათ, ის უძახეთ სფინქსს, გინდა დიდი, გინდა ორენა, გინდა გაქვავებული, მე არ მეშინია, მე ჩემი მშობლები უნდა გავაცოცხლო. მუხამ გვითხრა: ბავშვებო, მე ადგილიდან ვერ დავიძვრები, მაგრამ მაინც დაგეხმარებით. თაკომ ჰკითხა: როგორ ბატონო? მუხამ უპასუხა: მე მაქვს ერთი მალამო. ელენე, შედი ფუღუროში, წყალზე გაიარეთ, ნუ გეშინიათ, არაფერი არ მოგივათ. მე შევედი და მართლა დავინახე მალამო. მუხამ მითხრა: – აიღე ის და წაისვით მთელ ტანზე, იგი დაგეხმარებათ, რომ გამოიცნოთ სფინქსის გამოცანა. წავედით სახლებში. მე წავისვი მალამო და ვფიქრობ 4+2+3=9, ჯამში რომ რვა იყოს, რვაფეხა იქნებოდა, მაგრამ ცხრაფეხა ვინ არის?

ვხედავ, უდაბნოში ვართ, მზე არ ჩანს, მაგრამ სანთლები ანთია. უცებ ბურთი გამოვარდა და გაგორდა, მას ჩემი პატარა ძმა დათი მოჰყვება ფორთხვით, დათის უკან დედიკო მოდის, სულ ბოლოს კი, ჩემი ბებო ჯოხით.

ქარი ამოვარდა და მე სფინქსთან გავიქეცი, მას ლიზი დაეჭირა და გაქვავებას უპირებდა. მე მივრბივარ და ვყვირივარ: „როცა ადამიანი პატარაა, ის დაფორთხავს“, სფინქსი გაწითლდა, მე ისევ ვყვირი, „როცა გაიზრდება, ის ორ ფეხზე დადის, ჩემი დედიკოა, გესმის?“ სფინქსმა კბილები დაკრიჭა. – არ გაბედო, ლიზის ხელი არ ახლო, ახლავე ჩამოუშვი.

– ჯერ ბოლო მითხარი, – მეუბნება მთლად გაწითლებული სფინქსი და ლიზის მიწაზე უშვებს. მე მას ვუთხარი: „ხოლო როცა მოხუცდება, ადამიანი ჯოხის დახმარებით დადის. ესე იგი, შენი გამოცანის პასუხია: „ადამიანი“. ახლა კი, ბატონო, თუ შეიძლება, გააცოცხლე ჩვენი მშობლები. სფინქსს გაუხარდა თავაზიანად რომ მივმართე და ყველა გააცოცხლა. ბედნიერები შემოგვხვდნენ და გვკოცნიდნენ.

მე ასე მგონია, რომ სფინქსები თავიდან ცოცხლები იყვნენ, ხოლო როცა მე გამოცანა გამოვიცანი, ისინი ყველანი გაქვავდნენ. ასე შეიქმნა სფინქსები. უცებ გამომეღვიძა და ყველაფერი ვუამბე ბებოს.

**ელენე დუდუჩავა**, 6 წლის.

# ერთი თქვენგანი

## გიორგი ესებუა



ესებუების ოჯახი ერთხანს თათრისტიანში ცხოვრობდა, და გიორგი ქ. ყაზანის №89 სკოლა-გიმნაზიაში მიიყვანეს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ სწავლა ქ. სენაკის №4 საშუალო სკოლაში გააგრძელა, მერე კიდევ რამდენიმე სკოლის გამოცვლა მოუხდა, საბოლოოდ კი თბილისის №56 საშუალო სკოლაში აღმოჩნდა და იმედი აქვს, რომ აქვე დაამთავრებს სწავლის სრულ კურსს.

გიორგი ხალისით და ადვილად სწავლობს, საგნებიდან უფრო ფიზიკა, ალგებრა, გეოგრაფია მოსწონს და აინტერესებს და ფიქრობს, რომ შეიძლება სკოლის დამთავრების შემდეგ მათემატიკოსობა აირჩიოს. როგორც მისი თანატოლი ბიჭების უმრავლესობა, გიორგიც ფეხბურთით არის გატაცებული, ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ თავგამოდებული გულშემატკივარია, საუკეთესო ფეხბურთელად კი ესპანელი რაული მიაჩნია. თვითონ ფეხბურთს არ მისდევს, სამაგიეროდ, კარგა ხანია სპორტულ ცეკვებში ოსტატდება და უნდა ითქვას, რომ უკვე საკმაოდ დიდი წარმატებები აქვს მოხვეჭილი ამ სარბიელზე. თვლა არა აქვს გიორგის მიერ სხვადასხვა კონკურსებში, ტურნირებსა თუ შემოქმედებით დათვალიერებებში მოპოვებულ ჯილდოებს: თათარსტანის რესპუბლიკის საცეკვაო სპორტის ფედერაციის დიპლომი წყვილთა სარეიტინგო ტურნირში დაკავებული მესამე ადგილისთვის, ასეთივე დიპლომი ასეთივე ტურნირში მოპოვებული პირველი ადგილისთვის, დიპლომი პირველი ადგილისთვის საკლასიფიკაციო ზონურ ტურნირში, გაზეთ „მოლოდიოჟ ტატარსტანა“-ს დიპლომი ფრანგული კულტურის დღეებში რესპუბლიკურ ფესტივალში დაკავებული საპრიზო ადგილისთვის, II ადგილი და თათარსტანის ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამინისტროს დიპლომი საცეკვაო სპორტში თათარსტანის პირველობაში დაკავებული მეორე ადგილისთვის. დიპლომი კომპანიის „როდნიკ ზდოროვია“ თასის გათამაშებაში დაკავებული საპრიზო ადგილისთვის. სრულიად რუსეთის ბავშვთა შემოქმედების X ფესტივალის „ვესნუშკა – 2001“ ლაურეატის დიპლომი, ყაზანის ახალგაზრდული ცენტრის საპატიო სიგელი ამ ცენტრის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. საგანგებო საქაღალდეში კოხტად აკინძულ ამ მრავალრიცხოვან დოკუმენტებს შორის ყაზანის №89 სკოლის მიერ გაცემული საპატიო სიგელიც არის, რომელიც გიორგის მესამე კლასში დაუმსახურებია, როგორც თანატოლთა შორის ყველაზე არტისტულს. აქვეა სკოლის სამადლობელი წერილიც, რომელიც კარგი შვილის აღზრდისთვის გიორგის დედას, ქალბატონ ნონა ჭანტურიას გადაეცა. გიორგი სპორტული ცეკვების გარდა, ქართულ ცეკვებსაც საუცხოოდ ასრულებს. იგი ყაზანში იქ არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „ოცნების“ სოლისტი იყო. საქართველოში გიორგიმ თავის მონაგარს შემატა საქართველოს ღია ჩემპიონატში (ლათინურამერიკული ცეკვების პროგრამით) მოპოვებული ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭოს დიპლომი, დადიანის თასის გათამაშების პრიზიორის დიპლომი და მედალი, კოლხეთის თასის გამარჯვებულის დიპლომი. გიორგის მიერ დღემდე მოპოვებული წარმატებები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნიჭიერი, შრომისმოყვარე და გონიერი ყმაწვილი კიდევ არა ერთხელ გამოიჩენს თავს და არა მარტო ცეკვებში.



## ვინ, რა? როგორ? რატომ? სად? როდის? რამდენი?



### როგორ ზომავენ ვარსკვლავებს?

ამა თუ იმ ვარსკვლავის ზომის დასადგენად ასტრონომები ადარებენ მის ფერსა და გამოსხივების ძალას. წითელი – ყველაზე ცივი და „პატარა“ ვარსკვლავების ფერია.ყვითელი ვარსკვლავები საშუალო წონისანებს განეკუთვნებიან. უზარმაზარი და ყველაზე ცხელი ვარსკვლავები თეთრად ანათებენ. წითელი „მინი“ ვარსკვლავების ტემპერატურა 3 000 გრადუსია, თეთრი გიგანტებისა კი – 100 000. ჩვენი ყვითელი მზე, რომლის ზედაპირზე 6 000 გრადუსია, საშუალო ზომის ვარსკვლავებს შორისაა.

### ვინ დაფრინავს ყველაზე სწრაფად?



ნამგალა პირველ რიგში იმით გამოირჩევა დანარჩენი ფრთოსნებისაგან, რომ ის ფრენისას ჭამს კიდეც, იძინებს კიდეც, ბუმბულსაც ისუფთავებს და წყვილდება კიდეც. ერთადერთი, რისთვისაც ნამგალები მიწაზე ეშვებიან, ბარტყების მოვლა-პატრონობა და გამოზრდაა. მოზრდილ ნამგალას შეუძლია 3-4 წელი გაატაროს ჰაერში და ამასთან დღეში 18000 კმ დაფაროს. იშვიათ გამძლეობასთან ერთად ამ ფრთოსანს საოცარი სისწრაფეც გამოარჩევს, რომელიც 150 კმ/სთ-ს აღწევს. „სპრინტში“ ჩემპიონად ითვლება კუდნემსა ნამგალა, რომელიც 300 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

### რამდენი ენაა მსოფლიოში?

თანამედროვე მეცნიერებს უჭირთ დედამიწის ზურგზე დღეს არსებული ყველა ენის დათვლა, რადგან ენათმეცნიერები კვლავაც დაობენ, რა უნდა ჩაითვალოს დიალექტის ნიშან-თვისებად. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მსოფლიოში არსებობს არა ნაკლებ 3 ათასი ენისა. მთელი რიგი გამოკვლევებით კი დასტურდება, რომ შესაძლოა უახლოეს ასწლეულში 50-დან 90%-მდე ენებმა არსებობა შეწყვიტოს. წინა ასწლეულში ეს პროცესი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო კოლონიზაციაზე, რომელსაც თან ახლდა ადგილობრივი კულტურების განადგურება. ჩვენს საუკუნეში კი ენებს კიდევ უფრო სერიოზული საშიშროება ემუქრება – გლობალიზაცია. გაქრობის პირას მისული ენების გადასარჩენად ენათმეცნიერები ქმნიან ლექსიკონებს, კატალოგებს, რომლებშიც შედის ამ ენათა გრამატიკის, ორთოგრაფიისა და წარმოთქმის წესები. მზადდება აგრეთვე მონაცემთა ციფრული ბაზა.

### რატომ აქვს ზოგს ცისფერი, ზოგს შავი თვალები?



თვალის მთავარ ნაწილს წარმოადგენს თვალის კაკალი, რომელიც რამდენიმე გარსს შეიცავს. ყველაზე ზედა, გამჭვირვალე გარსს, რქოვანას მოსდევს სისხლძარღვთა გარსი, რომელიც პიგმენტური უჯრედებით არის მომარაგებული. თვალის წინა ნაწილში რქოვანა წარმოდგენილია ცისარტყელას გარსით და სწორედ ეს გარსი არის პასუხისმგებელი თვალის ფერზე. ცისარტყელა თავის ერთ-ერთ ღრმა ფენაში შეიცავს განსაკუთრებულ უჯრედებს – ქრომატოფორებს, ეს უკანასკნელები კი შეიცავს მელანინის პიგმენტს და რქოვანაში სწოედ ეს პიგმენტი მოჩანს. ყველა ადამიანი ღია ფერის თვალებით იბადება, თვალის საბოლოო ფერი კი ბავშვს 2-3 წლის ასაკში უყალიბდება, როდესაც მელანინის ფერმენტი უჩნდება. რაც მეტია ეს პიგმენტი უჯრედებში, მით მუქი ფერისაა თვალები. ცისფერთვალაერები, როგორც წესი, ეკვატორიდან შორს ცხოვრობენ, ყავისფერთვალებიანები – ზომიერი ჰავის რაიონების მკვიდრნი არიან, შავი თვალები კი ეკვატორთან სიახლოვეზე მეტყველებს. რაც უფრო მუქი ფერისაა თვალი, მით უფრო მეტად არის ის დაცული მზის თვალისმომჭრელი სინათლისაგან.

### რა განსხვავებაა კურდღელსა და ბოცვერს შორის?




კურდღელი და ბოცვერი მარტო ერთი შეხედვით გვანან ერთმანეთს, სინამდვილეში კი ეს სხვადასხვა ცხოველია. კურდღელისგან განსხვავებით, ბოცვერი სოროში ცხოვრობს და ამიტომაც ყურები და უკანა კიდურები უფრო მოკლე აქვს. ბოცვერი კურდღელზე ნელა დარბის. კურდღლები თვალახელილები იბადებიან, ბოცვერები კი – ბრმები და უსუსურები. დედა კურდღლები შვილებს არ უვლიან, მხოლოდ კვებავენ მათ, ამასთან მათ შეუძლიათ საკუთარ შვილებთან ერთად სხვებისასაც აჭამონ. დედა ბოცვერი კი მარტო თავის პატარებს კვებავს. კურდღლის მოშინაურება ვერა და ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, ბოცვერი ადვილად ეგუება ტყვეობას და ადამიანებს.



# ლონდა მასწავლებელო, ძალიან, ძალიან გვიყვარხართ!

## თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელთა წერილები პირველ მასწავლებელს, ლონდა ზედელაშვილს

სიმართლე რომ გითხრათ მეგონა, რომ თქვენ გარეშე ვერ შევძლებდი სწავლას, მაგრამ მივეჩვიე, თუმცა მაინც ვერ შევეჩვიე, რომ ყოველდღე თქვენს ენერგიულ სახეს ვერ ვხედავ, ყოველდღე რომ ვერ გხედებით, მაგრამ, ალბათ, თანდათან მივეჩვევი. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ძალიან გული დამწყდა, რომ უკვე თქვენი ყოფილი მოსწავლე ვარ. თქვენთან წილისებივით ვიყავი შეფარებული.

**ნინო გელაშვილი**

ლონდა მასწავლებელო, ძალიან მომენატრეთ, როგორ მინდა, ისევ თქვენ იყოთ ჩემი მასწავლებელი. ანი მასწავლებელიც ძალიან კარგია. როგორი ბავშვები არიან პირველკლასელები? გაბრაზებენ? ალბათ, არა. მართალია, თქვენი მოსწავლე მხოლოდ ორი წელი ვიყავი, მაგრამ მაინც ვთვლი და ასეც არის. მინდა, ძალიან მინდა, რომ თქვენი მოსწავლე პირველი კლასიდან ვყოფილიყავი. ნელი მასწავლებელი ძალიან კარგია, მაგრამ თქვენ და ანი მასწავლებელს არავინ არ ჯობია. თქვენ ძალიან მიყვარხართ და ძალიან მომწონდა, როგორ გვიხსნიდით გაკვეთილებს. ანი მასწავლებელი კი თქვენი გაზრდილია. ძალიან მომენატრეთ, ძალიან – ძალიან. ანი მასწავლებელი ახლა სალომეს (დეკანოიძე) უხსნიდა გაკვეთილს ზუსტად ისე, როგორც თქვენ. ძალიან მესიამოვნა და ჩავფიქრდი.

**ირინა სიხარულიძე**

ჩემო საყვარელო ლონდა მასწავლებელო, ცოტა არ იყოს უთქვენოდ მოვიწყინე. გასული ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ყველა გაკვეთილს თქვენ გვასწავლიდით, ახლა კი ყველა საგანში სხვადასხვა მასწავლებელი გვყავს. დღემდე ვერ შევეგუე იმას, რომ დილით თქვენ ნაცვლად სხვა მასწავლებელი გვესალმება.

როდესაც პირველად მოვედი სკოლაში და დაგინახეთ, ცოტა არ იყოს შემეშინდა, რადგან ძალიან მკაცრი მომეჩვენეთ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მივხვდი, რომ არასწორი აღმოჩნდი და თუ გაგვკიცხავდით, ამასაც ჩვენთვის აკეთებდით. ახლა ვხვდები, რამხელა შრომა გაქვთ ჩვენში ჩადებული!

**სანდრო ძოძოსაძე**



ლონდა მასწავლებელო, მე თქვენ ძალიან მომენატრეთ. მომენატრა თქვენი საინტერესო გაკვეთილები. თქვენ არ იცით, როგორ მიყვარხართ. ჯერ კიდევ არ დამვიწყებიხართ და არც არასდროს დამავიწყდებით. წინ რომ მასწავლებელი მიზის, ვფიქრობ ხოლმე ნეტავი ახლა ლონდა მასწავლებელი იჯდესმეთქი. მე თქვენ არ მავიწყდებით. არდადეგებზე რომ ვიყავი, მეგონა, უკან რომ დავბრუნდებოდი, თქვენ დამხვდებოდით, არა, კი არ მეგონა, იმედი მქონდა, რადგან მე ვიცოდი, რომ თქვენ აღარ შემეგებებოდით. ეს კი ჩემთვის ძალიან სამწუხაროა. მე თქვენ ბედნიერებას გისურვებთ!

**მაკა ენუქიძე**

თქვენ ჩვენ მთელი 4 წლის მანძილზე გვასწავლიდით, ყველაფერს ისე გვიხსნიდით, რომ ბავშვებს ისე მოგვწონდა თქვენი გაკვეთილები, რომ ჩვენ გვეგონა ვთამაშობდით, თქვენ მთელი გაკვეთილები „ცეცხლი" გაქიდათ და ივსოდით. მართალია, ბევრს გაბრაზებდით, მაგრამ ჩვენ მთელი გულით გვიყვარხართ. როცა სკოლაში, V კლასში მოვედი, სხვა მასწავლებელი დამხვდა. თქვენ რომ არ დაგინახეთ, ახალ მასწავლებელზე ცუდი განწყობილება შემექმნა, გავიდა დრო და შემიყვარდა, მაგრამ თქვენზე ძალიან ვერასოდეს ვერ შევიყვარებ სხვა მასწავლებლებს. თქვენ ჩემო ლამაზო მასწავლებელო, ჩემი აღმზრდელი მასწავლებელი ხართ. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ და დიდ პატივს გცემთ.

**მაკა მარნაძე**

მე მითხრეს, რომ წერილი უნდა დამეწერა ადამიანზე, რომელიც 4 წელი მასწავლიდა და იცით, ძალიან ვნანობ, რომ პირველ და მეორე კლასში თქვენთან არ ვიყავი. სხვათა შორის, ისიც მითხრეს, რომ წერილი უნდა მიმეწერა თითქმის დედის შემცვლელი ადამიანისთვის, მართალია, დედას ვერავინ შეცვლის, მაგრამ მაინც.

ერთხელ ავტობუსში დაგინახეთ, ბავშვებთან ერთად და ძალიან მომინდა ისევ თქვენი მოსწავლე ვყოფილიყავი.

**ანინო ჩუხელაშვილი**

ლონდა მასწავლებელო, მე და ჩვენ მთელ კლასს ძალიან, ძალიან გვენატრებით! თქვენ ხომ იცით, რომ ძალიან მიყვარხართ. თქვენ ხართ მთელ სკოლაში ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და განათლებული მასწავლებელი. მე მინდა, რომ მთელი სიცოცხლე ასეთი იყოთ. ლონდა მასწავლებელო, თქვენზე რომ ვფიქრობ, სიხარულისგან ცრემლები მომდის და სულ მინდა, რომ თქვენთან ვიყო.

**თაკო დვალი**

ჩემო საყვარელო და უსაყვარლესო ლონდა მასწავლებელო, თქვენ ხომ იცით, როგორ მიყვარხართ, მაგრამ მარტო მე კი არ მიყვარხართ, არამედ სხვებსაც. ძალიან, ძალიან გული დამწყდა თქვენ რომ დაგშორდით, ისე რომ სხვა მასწავლებლებს ვერ შევეჩვიე, თქვენ რაც მოგვიძღვენით, ის ოთხი წელი არ დამავიწყდება. თქვენთან იმდენი კარგი და ლამაზი წუთი მაქვს გატარებული, რომ არ მავიწყდება. მე ძალიან გამიხარდა, რომ თქვენი შვილი, ანი მასწავლებელი გვასწავლის. ანი მასწავლებელს სულ ვეუბნები ხოლმე, როგორ არის ლონდა მასწავლებელი-მეთქი. თქვენ იმდენ კარგ წერილებს გვაწერინებდით. არდადეგებზე ვერ ვითმენდი, რომ ვერ გირეკავდით, ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდი სკოლაში და როდის განახავდით. თქვენ ალბათ ჩემნაირი კლასი გყავთ, ალბათ თქვენც ძალიან გენატრებოდით... მე ძალიან მეწყინა, რომ დაგშორდით. დიდი მადლობა.

**სალომე კახნიაშვილი**

ძალიან მენატრებით, მთელ კლასს გვენატრებით. რაც მეხუთე კლასში გადმოვედით, თქვენი სითბო დაგვაკლდა. მაგრამ ამ დანაკლისს ანი მასწავლებელი ამსუბუქებს და ისევე თბილად გვექცევა, როგორც თქვენ. მართალია, თქვენ სანახავად ჩამოვდივართ ხოლმე, მაგრამ იმის დრო აღარ მრჩება, რომ ყოველდღე მოგინახულოთ. არდადეგების მერე ვიგრძენი, რომ დავჭკვიანდი და დამოუკიდებელი გავხდი. ელენე უკვე წლის და სამი თვის არის. მეტი არაფერი მაქვს საკუთარ თავზე დასაწერი. ძალიან გვენატრებით, ძალიან გვიყვარხართ.

**სალომე დემეტრაშვილი**

ეს ოთხი წელი ჩემთვის ჯადოსნური იყო. თქვენ ახლა ძალიან გვჭირდებით. ალბათ თქვენი ახსნილი პირველკლასელებსაც მოსწონთ. მე ჯერ ვერ შევეგუე მეხუთე კლასს. თქვენი ახსნილი დღესაც გვჭირდება, ჩემო უსაყვარლესო პირველო მასწავლებელო. თქვენ გვეუბნებოდით ხოლმე, მე თქვენთვის მეორე დედა ვარო, ახლა ეს ფრაზა მე არ დამავიწყდება და გჯეროდეთ, არც არასდროს დამავიწყდება. ჩვენ დღესაც გვინდა ის სითბო, რაც ოთხი წელი გვქონდა. მე მარტო თქვენ მოგმართავთ ამ სიტყვებით, სხვას ვერავის ვეტყვი. იმ სითბოს, რაც თქვენ გაგვიზიარეთ ამ ოთხი წლის მანძილზე, ვერცერთი მასწავლებელი ვერ შეცვლის. ამიტომაც მიყვარხართ ასე ძალიან.

**მარიამ ქაჩუმაშვილი**

ძალიან მომენატრეთ, მართალია, ყოველდღე გხედავთ, მაგრამ მაინც მომენატრეთ, იმიტომ რომ თქვენი ახსნილი მასალა აღარ მესმის. მეხუთე კლასში სულ სხვანაირი სწავლა არის, ნელ-ნელა რთულდება, მაგრამ სწავლა მოსაწყენი არ არის. გავლილი ოთხი წელი ძალიან მენატრება, რა კარგი იქნება, რომ დროის წარსულში დაბრუნება შეიძლებოდეს. თქვენ სამ გაკვეთილს გვიტარებდით, ხოლო აქ ექვსივე გაკვეთილს სხვადასხვა მასწავლებელი გვასწავლის. მომენატრა პირველი სართული და პატარა მერხები. მე თქვენ ძალიან მომენატრეთ.

**ნიკა თორთლაძე**

ლონდა მასწავლებელო, ძალიან მენატრებით. ამ ოთხი წლის მანძილზე თქვენ გვასწავლიდით, ახლა კი გადავედით მე-5 კლასში და სხვა მასწავლებლები გვყავს.ახალ მასწავლებლებთან შეგუება ჯერ ძნელია, მაგრამ იმედია, მალე შევეჩვევი. ჩვენ ამ ზაფხულს გავიზარდეთ და მეტი სწავლა მოგვეთხოვება. თქვენ ძალიან შორს ხართ და ძალიან მენატრებით. იმედია, მალე გნახავთ. ყველას ძალიან ენატრებით. მინდა ძალიან, ძალიან მალე გნახოთ და ჩაგეხუტოთ. გკოცნით ათასჯერ.

**მაკო ენუქიძე**

ლონდა მასწავლებელო, მე ძალიან მენატრებით, ახალი მასწავლებლები გვყავს, მაგრამ ახალი მასწავლებლებიც კარგები არიან, მაგრამ თქვენ მუდამ ჩემს გულში იქნებით. გთხოვთ, მაპატიოთ, რომ მათემატიკაში შვიდი ქულა მივიღე. არდადეგებზე სულ თქვენზე ვფიქრობდი, ისე მენატრებოდით. კარგი იქნებოდა, თქვენ ახლაც გვასწავლიდეთ, მე თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ და სამუდამოდ ჩემს გულში იქნებით. ჩვენ უკვე ძველი ქართულიც ვიცით.

**ვახტანგ კალანდაძე**

ვინ მოთვლის რამდენი ბედნიერი დღე, წელი გავატარე თქვენთან ერთად. რამდენი საინტერესო გაკვეთილი ჩაგიტარებიათ ჩვენი კლასისთვის, გასული ოთხი წელი სულ ჩვენზე ზრუნავდით ჩვენ... და ამ ხნის განმავლობაში ისე შეგვიყვარდით, რომ ძალზე გაგვიჭირდა თქვენთან განშორება. მართალია, ახლაც ყოველდღე გხედავთ, მაგრამ უკვე ჩემი მასწავლებელი აღარ ხართ. თქვენი მოსწავლე ჩემი ძმა გახდა და იმედი მაქვს, მასაც ასეთივე დამოკიდებულება ექნება თქვენ მიმართ ოთხი წლის მანძილზე. პირველ კლასში რომ მოვედით, ჯერ არ გიცნობდით და ზოგიერთმა ტირილიც დაიწყო, თეთრთმიანი მასწავლებელი რად მინდაო! მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდით, რომ თქვენ ყველაზე საუკეთესო, ყველაზე კარგი და ყველაზე მოსიყვარულე მასწავლებელი ხართ...

**ელენე კიკნაძე**

ლონდა მასწავლებელო, ძალიან, ძალიან მიყვარხართ და ძალიან მომენატრეთ. მე, მართალია, როგორც სხვა ბავშვებს, ოთხი წელი არ მასწავლიდით, მაგრამ ამ ორ წელიწადში ძალიან შემიყვარდით. იმდენი რამე მაქვს თქვენთვის მოსაყოლი ზაფხულის ამბებზე, რომ ამ ფურცლებზეც არ დაეტევა. იმედი მაქვს, რომ თქვენც ჩემსავით კარგი დრო გაატარეთ არდადეგებზე. მე წეროვანში დავისვენე, იქ ძალიან კარგია, თან მე სადაც ვისვენებდი, ის ადგილი ამაღლებული იყო, იქიდან ისეთი ხედი მოჩანდა, რომ შეგეხედა, ყველაფერი ცუდი დაგავიწყდებოდა. რამდენჯერმე მზის ჩასვლას გადავუღე სურათი. მას, იცით, იქ პირველად მარტო დავჯექი ცხენზე და აქეთ-იქით ვატარებდი. ლონდა მასწავლებელო, ძალიან, ძალიან მომენატრეთ და ძალიან მიყვარხართ.

**ნინა ანთელავა**

ლონდა მასწავლებელო, ძალიან მენატრებით. მე ძალიან მინდა, რომ ისევ ჩვენი მასწავლებელი იყოთ. მე უთქვენოდ ძალიან მოვიწყინე და მომენატრა თქვენი საინტერესო გაკვეთილები, მაგრამ მე უკვე მეხუთე კლასში ვარ და თქვენს გაკვეთილებზე დასწრება ყოველდღიურად აღარ შემიძლია, მაგრამ მე ხშირად გხედავთ სკოლაში. მე მახსოვს, პირველ კლასში როგორ თამაშ-თამაშით ვსწავლობდით, მხიარულად და ხალისიანად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს კლასელებსაც ენატრებით.

**ვახტანგ კაშია**

მთელ ჩვენს კლასს ძალიან გვიყვახართ და გვენატრებით. ეს ოთხი წელი ძალიან სასიამოვნოდ გავატარეთ. როცა მეხუთე კლასში გადმოვედით, რაღაც ახალი ვიგრძენით, რაღაც განსხვავებული. თითქმის ყოველდღე გნახულობთ, დასვენებებზე ჩამოვდივართ თქვენ სანახავად, მაგრამ ხანდახან ვერ გნახულობთ. თქვენ ახალ კლასსაც ძალიან უყვარხართ და ძალიან ჭირდებით. ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მათ ძალიან კარგ ამბებს მოუყვებით, ბევრს ახალს ასწავლით და ექსკურსიაზეც წაიყვანთ. ძალიან კარგი იყო თქვენთან და ეს ოთხი წელი ტკბილ მოგონებად დაგვრჩა ყველას. მეხუთე კლასი კარგია, უფრო ბევრს ვისწავლით, მაგრამ ნაწილებად რომ დავიშალეთ, ამაზე დამწყდა გული. ხანდახან ისე მოხდება, რომ რომელიმე მეგობარს კვირაში მარტო 2-ჯერ 3-ჯერ ვნახავ ხოლმე, თქვენთან კი სულ ერთად ვიყავით.

**მარიამ გიორგაძე**

მე თქვენ ძალიან მენატრებით, ლონდა მასწავლებელო. მე უკვე ახალი სასწავლო წელი დავიწყე, მაგრამ მაინც ვერ ვივიწყებ ჩემს ძველ სასწავლო წლებს თქვენთან ერთად. მე დარწმუნებული ვარ, სხვებსაც ენატრებით. ჩემი პირველი დღე მეხუთე კლასის კარგად ჩატარდა. მე შევხვდი ძველ მეგობრებს და ახალ მასწავლებლებს. ერთი კვირა მართალია, ავად ვიყავი, მაგრამ მერე ისევ მივედი სკოლაში. მე მახსოვს პირველი კლასი, როცა პირველად შეგხვდით თქვენ და ჩემს ახალ კლასელებს. ზოგი ტიროდა პირველ დღეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერი ცუდი არ იქნებოდა. ახლა კლასში ახალ მასწავლებელთან ერთად ვარ, ჩვენ ზოგი ახალი მოსწავლეც გვყავს.

**არჩილ მაყაშვილი**

არ დამავიწყდება ის ოთხი თქვენთან ერთად გატარებული წელი, ყველაზე მხიარული წლები. მახსოვს, პირველ კლასში როგორ გვეთამაშებოდით. ამ თვეში ბევრი საინტერესო რამე შემემთხვა, მაგრამ ვერ ჩამოვთვლი. რამდენიმე კვირის წინ მათემატიკაში ტესტი ვწერეთ, მაგრამ არც ისეთ კარგ ჯგუფში მოვხვდი, მაგრამ ქართულში თქვენს შვილთან მოვხვდი, რაც ძალიან გამეხარდა! სულ ხუთებზე ვსწავლობ და მარტო ერთხელ მივიღე ოთხი. თქვენ ძალიან კარგი მასწავლებელი ხართ. ძალიან მენატრებით, როცა დრო მექნება, სანახავად ჩამოვალ. თქვენი შვილი ძალიან კარგი მასწავლებელია.

**კოტე ბერიძე**

მინდა გითხრათ, რომ ის ოთხი წელი თქვენთან მხიარულად, მშვენივრად და საუკეთესოდ გავატარე. მე არდადეგები რომ მქონდა, სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ ვინ იქნებოდა ჩემი მასწავლებელი. როცა გავიგე, რომ თქვენს შვილთან მოვხვდი, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი. იმ ოთხი წლის შემდეგ თქვენთან დაშორება გამიჭირდა, მაგრამ თქვენმა შვილმა ჩამიქრო გულში სევდა. მე ის ეგრევე შემიყვარდა. რომ გითხრათ, ის ხასიათით გგავთ, მე მინდა იცოდეთ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, მე ძალიან მეყვარებით თქვენ და თქვენი შვილი!

**სალომე დეკანოიძე**

ძალიან მენატრებით, ვერ შევეგუე იმ აზრს, რომ ახლა სხვა დამრიგებელი მყავს, ახალი მასწავლებლები. აღარ დავრბივარ პირველ სართულზე და ახლა მეორეზე ვარ.

კარგი იყო მესამე რიგის მეორე მერხზე ჯდომა. ახლა ყველაფერში გაყოფილები ვართ, ცალ-ცალკე გვაქვს გაკვეთილები. მე და ნიკა (თორთლაძე) ყველაფერში ერთად ვართ. დაგვემატა ისტორია, ვსწავლობთ ძველ ქართულ ანბანს. მახსოვს როგორ თამაშ-თამაშით გვასწავლიდით ყველაფერს, ამისთვის მე და ჩემი კლასელები დიდ მადლობას გიხდით.

**ვახტანგ გაბიძაშვილი**

მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, თქვენ ჩემი მეორე დედა ხართ. და ყოველთვის იქნებით. თქვენ მე მეორეჯერ გამზარდეთ და ეს უნიკალურად გამოგდით. უკვე ოთხი წელი ერთად ვიყავით ერთ ოთახში ანუ ერთ კლასში. ოთხი წელი გვასწავლიდით, ახლა მეხუთე წელია და მეხუთე წელს უკვე სხვა მასწავლებელთან გადავდივართ, ეს ძალიან სევდიანია. ყოველდღე თქვენზე და თქვენს მხიარულ გაკვეთილებზე ვფიქრობ, როცა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასში ვიყავი, გაკვეთილების გაკეთება მეზარებოდა, მაგრამ სკოლაში მოსვლა მინდოდა, მეგობრებთან თამაში და მხიარული გაკვეთილის მოსმენა, მაგრამ მარტო მხიარული გაკვეთილების მოსმენა არა. ისე იყავით აღგზნებული, ისე, რომ ცეცხლი გეკიდებოდათ.

ახლა ანის გაკვეთილები ძალიან საინტერესოა და ძალიან კარგი, რა ვქნა, ლონდა მასწავლებელო, ისე შემიყვარდით, რომ არასოდეს არ დამავიწყდებით. თუ რამე ოდესმე გვიწყენინებია, მეც და ყველას, გვაპატიეთ!

**მაკო ბერიაშვილი**

ძალიან მენატრებით. ამ წერილს დიდი სიყვარულით გწერთ. ამ ოთხი წლის შემდეგ ძალიან დავჭკვიანდი, თქვენ ძალიან ბევრი რამ მასწავლეთ, ამ ბოლო დრო ხუთებს ვიღებ, მართალია, ქართულში ვერ ვიღებ კარგ ნიშნებს, იმიტომ რომ ხან ცუდად ვარ, ხან მავიწყდება და ა.შ. ძალიან, ძალიან მომენატრეთ, ჩვენი და ჩვენი კლასი, მერხები. როცა თქვენთან მოვდივარ, ჩვენი კლასი შეღებილია, მერხებზე ზიან ბავშვები, საკონტროლოს წერენ, ეს ძალიან ლამაზი შესახედავია. როცა ანი მასწავლებელი თქვენ თავს გვახსენებს, უცებ წარმოვიდგენ, როგორ ვიჯექით კლასში, ვწერდით, თქვენ როგორ გვიხსნიდით.

**მარიამ მანჯგალაძე**

23212



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკის ანბანი

**ბირჟა** – რეგულარულად მოქმედი საბითუმო ბაზრის ფორმა, დაწესებულება, სადაც წარმოებს მასობრივი ერთგვაროვანი საქონლის, ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები) ან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა. სავაჭრო საგნების შესაბამისად არსებობს სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟები. ბირჟის ჩანასახი გაჩნდა XV–XVI საუკუნეში იტალიისა და ნიდერლანდების ქალაქებში. პირველი ოფიციალური ბირჟა 1566 წელს გაიხსნა ინგლისის სამეფოში.

**სასაქონლო ბირჟაზე** საქონელი ისევე იყიდება, როგორც ჩვეულებრივ მაღაზიებში, ოღონდ აქ მას დიდი რაოდენობით იძენენ, ვაჭრობა აქ ბითუმად ხდება. ბირჟაზე ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობენ მსხვილ სამრეწველო და სავალუტო ფირმათა მფლობელები, რომლებიც შუამავლების ანუ ბროკერების მეშვეობით მოქმედებენ. ბროკერი, მას შემდეგ, რაც გაიგებს, რა ფასად ყიდის გამყიდველი ამა თუ იმ საქონელს ბირჟაზე, რა რაოდენობის საქონელი და რა ფასად სურს შეიძინოს მყიდველმა, იწყებს ზრუნვას გარიგებაზე მყიდველსა და გამყიდველს შორის. თუ ეს უკანასკნელები გაყიდვა-ყიდვაზე შეთანხმდებიან, ბროკერი მათგან ანაზღაურებას ღებულობს. ბროკერობის ინსტიტუტი განსაკუთრებით ინგლისშია განვითარებული.

**საფონდო ბირჟაზე** ხდება სააქციო საზოგადოებათა აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა მათი წინასწარ რეგისტრირებული კურსით.

**აქცია** წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელსაც უშვებს სააქციო საზოგადოება (ქარხანა, ფაბრიკა, კომბინატი, სტამბა და ა.შ.) და რომელიც მის მფლობელს ამ საზოგადოების მოგებიდან გარკვეული შემოსავლის მიღების უფლებას აძლევს. აქციები ჭვირნიშნებიან, სხვადასხვა სახის დაცვით უზრუნველყოფილ, ანუ ფულისთვის განკუთვნილის მსგავს ქაღალდზე იბეჭდება. ყოველ აქციას ზედ აწერია თავისი ღირებულება.

**სავალუტო ბირჟაზე** წარმოებს ფულის ყიდვა-გაყიდვა, აქ შეიძლება ერთი ქვეყნის ფულით სხვა ქვეყნის ფული შეიძინო. ამა თუ იმ ვალუტის ფასს კურსი განსაზღვრავს. ვთქვათ, თუ შენ ევროს შეძენა გინდა, უნდა იცოდე მისი ფასი ჩვენს ვალუტაში ანუ ლარებში. როგორც წესი, ვალუტას იმაზე უფრო ძვირად ჰყიდიან, ვიდრე ყიდულობენ და აი რატომ – მყიდველს, გამყიდველსა და ბირჟას შორის შუამავალი ბანკია, შუამავალს კი გაწეული მუშაობისთვის გასამრჯელო ეკუთვნის და სწორედ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სხვაობაა მისი კუთვნილი გასამჯრელო.

**ბანკი** – საფინანსო დაწესებულება, რომელიც თავს უყრის დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს (ანაბრებს), იძლევა მათ დროებით სარგებლობაში კრედიტების სახით, შუამავლობს გადასახადებსა და ანგარიშსწორებებში საწარმოებს, დაწესებულებებს ან ცალკეულ პირებს შორის, არეგულირებს ფულის მიმოქცევას ქვეყანაში.

**კრედიტი** – საქონლის ან ფულის სესხება გარკვეული დროით და გარკვეული პროცენტით, ანუ სარგებლით. საწარმო ან ფირმა, რომელიც ბანკისგან კრედიტს, სესხს იღებს, აღებულ ფულს საქონლად აქცევს, ვთქვათ, ახალი დანადგარების შესაძენად იყენებს. ამით წარმოება უმჯობესდება და მაშასადამე, შემოსავალიც მატულობს. და მოგებაც იზრდება, ბანკი კი მოგებას იმ პროცენტების სახით მიიღებს, ეს საწარმო ვალის გასტუმრებამდე ყოველთვიურად რომ გადაუხდის. კრედიტის გამოტანა ბანკიდან კერძო პირსაც შეუძლია, მაგალითად, ბინის ან მანქანის საყიდლად, პირობები ამ შემთხვევაშიც იგივე რჩება – ვალის სრულად გასტუმრებამდე კრედიტის ამღებმა რეგულარულად უნდა იხადოს დადგენილი პროცენტი,

**გადასახადი** – სავალდებულო გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო იღებს იურუდიული და ფიზიკური პირისგან სახელმწიფოს ხარჯების დასაფინანსებლად.

**ბაჟი** – სახელმწიფო ფულადი მოსაკრებელი, რითაც იბეგრება შემოტანილი, გატანილი და ტრანზიტული საქონელი, ქონება და სხვადასხვა ფასეულობა, აგრეთვე მოქალაქეები სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და სასამართლოების მიერ გაწეული მომსახურებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიული სახელები

# ლეონარდო და ვინჩი







სიქსტის კაპელას მოხატულობის ფრაგმენტები



მონა ლიზა

გენიალური იტალიელი ფერმწერი, მეცნიერი, გამომგონებელი, მუსიკოსი ლეონარდო და ვინჩი დაიბადა 1452 წლის 15 აპრილს პატარა ქალაქ ვინჩის მახლობლად, ნოტარიუსის ოჯახში. სიცოცხლის პირველი 15 წელი ლეონარდომ ვინჩის სახლში გაატარა. მოგვიანებით მამამ, განათლების მისაღებად შვილი ფლორენციაში წაიყვანა. ჭაბუკმა ლეონარდომ განსაკუთრებული ნიჭი გამოამჟღავნა მათემატიკაში. ამასთან იგი საუცხოოდ ხატავდა, მღეროდა და უკრავდა ქნარზე. პიერო და ვინჩი სულ მალე დარწმუნდა, რომ მისი შვილი მამა-პაპის საქმეს – ნოტარიუსობას არ გაჰყვებოდა და ის თავის მეგობარს ცნობილ ოქრომჭედელს, მექანიკოსს, მოქანდაკესა და ფერმწერს ანდრეა ვეროკიოს მიუყვანა სასწავლებლად. მაშინ იგი 17 წლის იყო. მასწავლებელი გაოცებას ვერ მალავდა უნიჭიერესი მოწაფის წარმატებებით, ლეონარდო მოკლე დროში ჩაწვდა პერსპექტივის, კალმით ჩანახატების შესრულების, პორტრეტის წერის საიდუმლოებას. ლეონარდო ყველას აკვირვებდა არა მხოლოდ ხატვის გამორჩეული ნიჭით, არამედ ინტერესთა ფართო წრით, გამომგონებლობისკენ სწრაფვით. დროთა განმავლობაში მის დღიურში ჩნდება მფრინავი ტანსაცმლის, თვითმავალი ეტლის, ტელესკოპის, წყალქვეშა ნავის, ორთქლის ძრავის ნახაზები ვეროკიოს სახელოსნოს მორიგი შეკვეთა ანდეს – „ქრისტეს ნათლისღება" როგორც მაშინ იყო მიღებული, ოსტატმა სამუშაოში საუკეთესო მოწაფეები ჩართო. ლეონარდოს ერთ-ერთი ანგელოზის თავისა და უკანა პლანის პეიზაჟის დახატვა დაევალა. გადმოცემის თანახმად, მას ისე კარგად დაუხატავს თავისი ანგელოზი, რომ ვეროკიოს ხელი აუღია ფერწერაზე და მასზე ნიჭიერი მოწაფის წინაშე ქედმოხრის ნიშნად თავისი ფუნჯი შუაზე გადაუტეხია. ლეონარდომ წესად შემოიღო: ძილი არა ღამ-ღამობით, არამედ ყოველ ოთხ საათში, 15-15 წუთით, მუდმივი სიმშვიდე და თავაზიანობა ყველას მიმართ. ამ განაწესისა და რკინის ნებისყოფის წყალობით ეს საოცარი ადამიანი ყველაფერს ასწრებდა, ქმნიდა ფერწერულ შედევრებს, ქანდაკებებს, მეცნიერულ ტრაქტატებს, იგონებდა მექანიზმებს. ლეონარდოს პირველი დამოუკიდებელი ფერწერული ნამუშევარი იყო მონტეოლივატოს სან ბართოლომეოს მონასტრისთვისმ შექმნილი „ხარება": 1472 წელს შექმნილი ეს შედევრი დღეს ფლორენციაში, უფიცის გალერეაშია გამოფენილი. ამას მოჰყვა „წმინდა ანა მარიამთან და ყრმა ქრისტესთან ერთად", „მადონა მღვიმეში". ლეონარდომ მრავალი ქალის პორტრეტი დახატა (ჯინევრა დე ბენჩის, ჩეჩილია გალერანის და სხვა) და მხოლოდ ერთი მამაკაცის (მუსიკოსის პორტრეტი) ყველა მათგანი გამოირჩევა გარეგნული მსგავსებისა და გამოსახულ პირთა სულიერი სამყაროს წვდომის საოცარი შერწყმით. 1495-1498 წლებს შორის ლოდოვიკო მოროს შეკვეთით ლეონარდომ მოხატა მონასტრის სატრაპეზოს გვერდითი კედელი, სიუჟეტად კი სახარების ერთ-ერთი კულმინაციური ეპიზოდი „საიდუმლო სერობა" აირჩია გენიოსის ხელით კიდევ ერთი შედევრი შეიქმნა. იდუმალებით არის მოცული ლეონარდოს ყველაზე ცნობილი სურათი „მონა ლიზა". ფანტასტიკური პეიზაჟის ფონზე გამოხატული მომღიმარი ქალის პორტრეტს ზოგი ფლორენციელი ბანკირის ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლის პორტრეტად მიიჩნევს, ზოგი კი ფიქრობს, რომ ეს თავად ლეონარდოს ავტოპორტრეტია. როდესაც 1517 წელს ხანდაზმული ლეონარდო საფრანგეთში გაემგზავრა, მან თან სწორედ „მონა ლიზა" წაიღო.

სწორუპოვარი მხატვარი, ხუროთმოძღვარი, ინჟინერი, მეცნიერი და მუსიკოსი 1519 წლის 2 მაისს აღესრულა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი გამუდმებით ეკითხებოდა საკუთარ თავს: „რა გავაკეთე ამ ქვეყნად?"

# ახალგაზრდობა და მშვიდობა

ოდითგანვე აწუხებდა, ძილს უფრთხობდა ქართველ კაცს მშვიდობაზე ფიქრი. ტრადიცია გრძელდება. მართალია, ახალ ათასწლეულს ახალი იმედები, უკეთესი მომავლისკენ სწრაფვა მოაქვს, მაგრამ მშვიდობაზე, საქართველოზე ფიქრი ჩვენი ახალი თაობის განუყრელი თვისებაა.

ახალგაზრდობაში არის ის ძალა, რომელიც შეძლებს მსოფლიოში დაამყაროს მშვიდობა, სულიერად ძლიერი და



**ლაშა მესხი ოტია იოსელიანთან და ოჯახის წევრებთან ერთად**

ტოლერანტი ახალგაზრდობა შეძლებს ამ დიდი მისიის შესრულებას.

ტოლერანტობა მშვიდობის გარანტია. რას ნიშნავს ტოლერანტობა? დიდი კვლევა-ძიების შემდეგ გავიგე, რომ იგი მოთმინებას ნიშნავს.

ერთ მშვენიერ დილას, ყური მოვკარი რაღაც ჩურჩულს, ჯერ მეზობლები მეგონა, მაგრამ ცოტა ხანში მივხვდი, რომ ქართული მიწისა და მზის საუბარს მოვკარი ყური:

– რა არის ტოლერანტობა? – ჩემდა გასაოცრად იკითხა მზემ.

– ტოლერანტობა მოთმინებას ნიშნავს, ჩემს მიწაზე მცხოვრები ხალხი – ქართველები ტოლერანტები არიან. ბევრი რამ მოუთმენიათ, ბევრიც გადაუტანიათ და ასე მოთმინებით მოაღწიეს დღემდე. მოთმინება არის მათი მშვიდობის გარანტი, ახალგაზრდობა არის ის ძალა, რომელიც შეძლებს დაამყაროს მშვიდობა მთელ დედამიწაზე, – დაამთავრა სიტყვა ქართულმა მიწამ. მზე, რომელიც მიწის საუბარს გაერთო, მხოლოდ მაშინღა გამოერკვა, როცა დასცხა და გასაგრილებლად მსოფლიო ოკეანეში ისკუპა, მერე ნელ-ნელა ამოვიდა და ამ დროს... ირიჟრაჟა.

არა კაც კლა! – გვეუბნება უფალი იესო ქრისტე თავის ათ მცნებაში. პირველ რიგში მშვიდობის საფუძველი საღვთო წიგნია და იგი ყოველი ახალგაზრდისთვის მეტად საჭირო და აუცილებელია. რა საჭიროა ჩხუბი, კვლა და ბოროტება? ხშირად მიფიქრია ამ თემაზე, რომ არ იყოს მსოფლიოს რუკა აჭრელებული საზღვრებით, ხომ არ იქნებოდა მუდმივი ომი და ხოცვა, რომ არ იყოს დაპირისპირება და სიძულვილი, მსოფლიო აყვავდებოდა. ჩავხედოთ, ადამიანებო, ერთმანეთს თვალებში: ყველანი ხომ მოკვდავი, სუსტი და პატარა არსებები ვართ. სიკვდილი ყველას გვაერთიანებს, რატომ მოვუსწრაფოთ სიცოცხლე ერთმანეთს? გვიყვარდეს ერთმანეთი და მსოფლიო აყვავდება, გვიყვარდეს ერთმანეთი!..

დიდი იოანე ოქროპირი ამბობდა: „უბედურება ის კი არ არის, რომ წაიქეცი, არამედ ის, რომ ადგომა არ გინდა!“ ქართველ ერს, ჩვენი წმინდა წინაპრების მადლით, აღდგომა და აღორძინება არ მოაკლდება. მაგრამ მხოლოდ წარსული?! მხოლოდ მისი იმედით ვიცხოვროთ?! არა, ხალხო! მომავალი უნდა შევქმნათ ისეთი, რომ მსოფლიოს გადაშენება ავაცილოთ, ჩვენ შევძლებთ ამას იმიტომ, რომ ჩვენი გონება ჩვენს მუშტებზე ძლიერია და დავამტკიცებთ, რომ ჩვენ, ადამიანებს, შეგვიძლია ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის პატივისცემა და ერთმანეთის თანადგომით, ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი საყოველთაო სახლის, ამჟამად, ცოდვის სუნით გაჟღენთილი, დედამიწის გადაშენებისგან და სიკვდილისაგან გადარჩენა. ამ საქმის თავიდათავი ახალგაზრდობაა, ახალგაზრდობა ხომ ჭეშმარიტად მომავლის ძალაა და იგი მშვიდობის გუშაგიცაა.

დღესაც მოდის ახალგაზრდობა, წინა თაობის ჭირი თუ ლხინი, რაკი მათი ცხოვრების შინაარსია, ამიტომაც მათი ფიქრი და ოცნება ხვალინდელი დღეებია, მშვიდობაზე ღაღადისი. ასე რომ, რაკი „სამშობლო მათი გულის ფეთქვაა“, დღენიადაგ იმეორებენ დიდი გალაკტიონის სამშვიდობო ჰიმნს „მშვიდობა, დიახ, მშვიდობა გვინდა, მშვიდობა გვინდა, ასი, ათასი...“

**ლაშა მესხი**, ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე, პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიატი.



## ვიქტორინა ჭკუის კოლოფებისთვის

1. რომელია ის სახელმწიფო, რომელსაც ყველაზე მეტი – 15 ქვეყანა ესაზღვრება?

ა) აშშ

ბ) ჩინეთი

გ) რუსეთი

2. პიროვნება, რომლის პატივსაცემადაც მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ ქვეყანას, იყო ...

ა) ანატოლი ფრანსი

ბ) ელ გრეკო

გ) სიმონ ბოლივარი

3. დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარია...

ა) ხერხეულიძე

ბ) ტარიელაშვილი

გ) ადამაშვილი

4. 1812 წლის აჯანყების სულისჩამდგმელი, ერეკლე II-ს ძე, ალექსანდრე ბატონიშვილი დაკრძალულია...

ა) თელავში

ბ) თბილისში

გ) თეირანში.

**№6-ში გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:**
1. ვარძიაში. 2. 1961 წ. 12 აპრილს. 3. სიმაღლეზე ხტომაში. 4. ქიმიაში. 5. მელიტონ ბალანჩივაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# [illegible]
# თავქუდმოგლეჯილი ბიჭის ამბავი

მზია მექერიშვილი

ზღაპარი

დიახ, სწორედ ასე ეძახდნენ მას. არავინ იცოდა, სინამდვილეში რა დაარქვეს მშობლებმა დაბადებისას.ყველა უბრალოდ თავქუდმოგლეჯილ ბიჭს ეძახდა და იცით რატომ? როცა დაიბადა, დედამ ლამაზი კუბოკრული ქუდი აჩუქა. თითქოს არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივი ქუდი იყო, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, არც ისე ჩვეულებრივი – ბიჭი იზრდებოდა და მასთან ერთად ქუდიც იზრდებოდა. გამუდმებით ეხურა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი ამინდი იყო - მზიანი თუ წვიმიანი, თავიდან არ იშორებდა. მაგრამ ერთ დღეს ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ხეები ფესვებიანად მოგლიჯა, სახლებს სახურავები გადააძრო, ხოლო ბიჭს ქუდი მოჰხადა და სადღაც შორს გააქროლა. იმ დღის შემდეგ ბიჭს ყველა თავქუდმოგლეჯილს ეძახდა. ქუდის პოვნის იმედი რომ გადაეწურა, ბიჭმა ჩანთაში მცირე საგზალი ჩაიდო და მის საძებნელად გაეშურა. არ იცოდა, სად უნდა ეძებნა, მაგრამ მაინც წავიდა, იმედი ჰქონდა და იმიტომ. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ტყეს მიადგა. ჩანთიდან საგზალი ამოიღო და ის-ის იყო პური უნდა გაეტეხა, რომ ტყიდან მგელი გამოვიდა, ჩვეულებრივი რუხი მგელი. მგელმა ნერწყვი გადაყლაპა ბიჭი ვერ მიხვდა, რამ გაუღვიძა მგელს მადა, პურმა თუ თვითონ ბიჭმა. ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადზე ცხადი იყო, რომ მგელს შიოდა, ამიტომ ბიჭმა საგზალი გაუყო. მგელი გემრიელად შეექცა საჭმელს, მართალია, არ ეყო და შიმშილით მაინც კუჭი ეწვოდა, მაგრამ ბიჭს არც გაჰკარებია, კეთილი იყო და იმიტომ, ჭამას რომ მორჩნენ, ბიჭი შეეკითხა:

– მე თავქუდმოგლეჯილი ბიჭი ვარ, შენ რა გქვია?

– მე კუდამოძუებულ მგელს მეძახიან.

– რატომ კუდამოძუებულს? – გაიოცა ბიჭმა.

– ახლავე გიამბობ, – ამოიოხრა მგელმა – ერთხელ ერთ სოფელში შევიპარე. ვიფიქრე, ცხვარს ან ძროხას გავკრავ კბილს, თორემ სადაცაა შიმშილით სული გამძვრება-მეთქი, მაგრამ იმ სოფელში ისეთი ავი ძაღლები დამიხვდა, ცხვარი და ძროხა კი არა, საკუთარი თავიც ოხრად დამრჩებოდა. ჰოდა, ამოვიძუე კუდი და ტყეში წამოვლასლასდი. იმის შემდეგ კუდამოძუებულ მგელს მეძახიან.

– ძალიან მეცოდები, როცა ქუდს ვიპოვი და შინ დავბრუნდები, ხშირად მოვალ ამ ტყესთან და საჭმელს მოგიტან ხოლმე.

– რა კეთილი ხარ, – გაიღიმა მგელმა – თუ ნებას დამრთავ, მეც შენთან ერთად წამოვალ და ქუდის მოძებნაში დაგეხმარები, – შესთავაზა მან.

ასე დამეგობრდნენ თავქუდმოგლეჯილი ბიჭი და კუდამოძუებული მგელი და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ ბუჩქს მიადგნენ. ბუჩქის ძირას ნაცარა კურდღელი იჯდა, დაღონებული.

– გამარჯობა, ნაცარავ! – მიესალმა ბიჭი.

– მე ნაცარა კი არა, ყურებჩამოყრილი კურდღელი მქვია, – ისევ დაღონებით თქვა კურდღელმა.

– რატომ ყურებჩამოყრილი? – გაიოცა ბიჭმა.

– ეჰ, იმდენი დარდი მაწევს გულზე... ხუთი ბაჭია მყავდა და ხუთივე მგელმა მომტაცა. ჩამოვყრიდი ყურებს, აბა, რა იქნებოდა. ამიტომ იმის შემდეგ ყველა ყურებჩამოყრილს მეძახის.

– ნუთუ ეს მე გავაკეთე? – გაიოცა მგელმა.

– არა, ეს ალბათ სხვა მგელი იყო, შენ ამას არ იზამდი, კეთილი ჩანხარ, – უპასუხა კურდღელმა. მიმტევებელი იყო და იმიტომ.

– არ გინდა, ჩვენთან ერთად წამოხვიდე ჩემი ქუდის საძებნელად? – შესთავაზა ბიჭმა – გულსაც გადააყოლებ და ჩვენც დაგვეხმარები.

– რა თქმა უნდა, წამოვალ! – სიხარულით შესძახა კურდღელმა. ასე განაგრძეს გზა თავქუდმოგლეჯილმა ბიჭმა, კუდამოძუებულმა მგელმა და ყურაბჩამოყრილმა კურდღელმა. ბევრი იარეს თუ ცოტა, დათვის ბუნაგს მიადგნენ. დათვი იქვე იჯდა და გულამოსკვნილი ტიროდა.

– რა გატირებს დათუჩა? – შეეკითხა თავქუდმოგლეჯილი ბიჭი – ვინ გაწყენინა?

– არავინ. კი არ მაწყენინეს, პირიქით, სიხარულისგან ვტირი.

– მაშ ის გვიამბე, ასე რამ გაგახარა?

– რამ და... ფუტკრის სკას მივაგენი, მაგრამ ირგვლივ იმდენი ფუტკარი ირეოდა, ვერ გავბედე, თაფლი ამომეღო, დავჯექი შორიახლოს და ნერწყვის ყლაპვა დავიწყე. უცებ ჩემთან დედა ფუტკარი მობზუილდა და მითხრა – მოდი, დათუნია, და რამდენიც გინდა, იმდენი თაფლი ჭამეო. გული ისე ამიჩუყდა, რომ დღემდე სულ ვტირი და ვტირი. ამიტომ ყველა გულამჩუყებულ დათვს მეძახის. დათვის ამბავი რომ მოისმინეს, მეგობრებსაც აუჩუყდათ გული – ბიჭს ცრემლები მოადგა თვალებზე, მგელი აყმუვლდა, ხოლო კურდღელმა კიდევ უფრო ჩამოყარა ისედაც ჩამოყრილი ყურები. ცოტა ხანში დათვიც შეუერთდა და ყველა ერთად გაუდგა გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ ძველ შენობას მიადგნენ. შენობის კართან მოხუცი თოფიანი დარაჯი იჯდა. თოფის დანახვამ, ცოტა არ იყოს, დააფრთხო ცხოველები, მაგრამ დარაჯს არც უფიქრია, ვინმესთვის ესროლა. კაცთ და ცხოველთმოყვარე იყო და იმიტომ.

– გამარჯობა, დარაჯო! – მიესალმნენ მეგობრები. – გვითხარი, ვინ ხარ?

– მე თავზარდაცემულ დარაჯს მეძახიან.

– რა უცნაური სახელია... – გაიოცა ყველამ.

– ჰო, უცნაურია. რკინიგზის სადგურში ვმუშაობდი, როგორც კი სადგურს მატარებელი მოუახლოვდა, ზარისთვის უნდა ჩამომეკრა და მგზავრები შემეფხიზლებინა. ზარი მსხვილი თოკით იყო ჩამოკიდებული. ერთ დღეს მასზე თაგვი აძვრა, თოკი სულ გადაღრღნა და ზარი თავში დამეცა. მხოლოდ იმან გადამარჩინა, რომ თავზე ეს ქუდი მეხურა. იმის შემდეგ ყველა თავზარდაცემულს მეძახის. აი, ასეთია ჩემი ამბავი! – დაასრულა თხრობა მოხუცმა.

– დარაჯო, არ გინდა შემოგვიერთდე, ერთად ვეძებოთ თავქუდმოგლეჯილი ბიჭის ქუდი, – შესთავაზა დათვმა.

– კეთილი, – დამეთანხმა მოხუცი და თავქუდმოგლეჯილი ბიჭი, კუდამოძუებული მგელი, ყურებჩამოყრილი კურდღელი და თავზარდაცემულ დარაჯი გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ მაღალ ნაძვს მიადგნენ, ფართოდ ტოტებგაშლილს.

– გამარჯობა, ნაძვო, რა დიდებული ხარ! – აღფრთოვანებით შესძახეს მეგობრებმა.

– ვიცი, რომ დიდებული ვარ, ამიტომაც მქვია თავმომწონე ნაძვი.

– რატომ, რა არის ისეთი, რომ თავს ასე იწონებ? მართალია, ძალიან მაღალი და ლამაზი ხარ, მაგრამ ამ ტყეში სხვა ნაძვებიც დგას, ასეთივე მაღალი და ლამაზი.

– კი, მაგრამ აბა სხვა რომელი ნაძვის კენწეროზე ხედავთ ასეთ მშვენიერ კუბოკრულ ქუდს, რომელიც მე მამშვენებს? ერთ დღეს ქარმა მომართვა საჩუქრად და დამახურა. აბა, არ უნდა ვიყო თავმომწონე?

მეგობრებმა მხოლოდ ახლა აიხედეს და დაინახეს, რომ ნაძვის კენწეროს მართლაც მშვენიერი ქუდი ამშვენებდა.

– ეს ხომ ის ქუდია, მე რომ ქარმა მომგლიჯა და გააქროლა!... – შესძახა გახარებულმა ბიჭმა.

– რა ბედნიერებაა, ქუდი ვიპოვეთ! – აყვირდნენ ბიჭის მეგობრებიც.

– იმედია, დაუბრუნებ ბიჭს თავის ქუდს და ის აღარ იქნება თავქუდმოგლეჯილი, – თხოვნით მიმართა მგელმა ნაძვს.

– რომ დავუბრუნო, ბიჭზე იტყვიან, თავი ქუდში აქვსო, მაგრამ მერე მე რა ვქნა, თავმომწონე რომ აღარ ვიქნები? – დაფიქრდა ნაძვი.

– აი, ჩემსას დაგიტოვებ, – მოიხადა ქუდი თავზარდაცემულმა დარაჯმა – მართალია, ისეთი ლამაზი არ არის, როგორც ეს კუბოკრული ქუდი, მაგრამ შენ მაინც მოგიხდება და ისევ თავმომწონე იქნები. ჩემთვის სულ ერთია, ზარი უკვე დამეცა, მეორედაც ხომ არ დამეცემა!

– მართალია, ქუდი ბიჭს უნდა დაუბრუნო, – საუბარში ჩაერია ყურებჩამოყრილი კურდღელი. ნაძვმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა ქუდი ბიჭისთვის დაებრუნებინა, აღარც მოხუც დარაჯს გამოართვა ახალი ქუდი, სამართლიანი იყო და იმიტომ.

ნაძვს დიდი მადლობა გადაუხადეს და უკან გამობრუნდნენ. კურდღელი ისე გაახარა ამ ამბავმა, რომ ყურები დაცქვიტა, ნაძვის გულკეთილობამ დათვს გული კიდევ უფრო აუჩუყა და ტირილს უმატა, მაგრამ მერე იფიქრა, ყველას თავს მოვაბეზრებო და გაჩუმდა. თუმცა მაინც გულაჩუყებული დარჩა. ბიჭი, როგორც დაპირდა მგელს, ყოველდღე უზიდავდა საჭმელს, ამიტომ ის აღარ დაძვრებოდა ახლომახლო სოფლებში ცხვრების მოსაპარად და აღარ ბრუნდებოდა კუდამოძუებული.

ბიჭს კი ეხურა თავისი კუბოკრული ქუდი, მაგრამ ხალხი მაინც თავქუდმოგლეჯილს ეძახდა, ისე შეჩვეოდა ამ სახელს. ბიჭსაც მოსწონდა, აღარც ახსოვდა რა ერქვა იქამდე, ვიდრე ქარი ქუდს მოჰგლეჯდა და არ სწყინდა, როცა თავქუდმოგლეჯილს ეძახდნენ, მხიარული იყო და იმიტომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენზე ფიქრით რომ ათენებს

## ცრემლი სინანულისა და სიყვარულისა

მეშვიდედ გააცილა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავზე თბილისის 147-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ნანი ინწკირველმა თავისი აღზრდილები მეხუთე კლასამდე. როცა ოთხი წლის მანძილზე შენ მიერ აღზრდილ პატარებს სკოლის შემდგომი საფეხურისაკენ აცილებ, სიამაყის გრძნობაც და განშორების სინანულის ცრემლიც გადგება. მაგრამ გრჩება იმედი იმისა, რომ ხვალ გაბრწყინებულ, ღიმილიან დედასთან განშორებით ოდნავ შემკრთალი, შიშჩამდგარი, აცრემლებული გოგო-ბიჭების ახალ წყებას ჩაიბარებ, პატარა მართვეებს გულში ჩაიკრავ და მათაც ასწავლი ლურჯ ცაში თავისუფლად ნავარდს... ასეთი განცდებით დაემშვიდობა ნანი მასწავლებელი თავის აღზრდილებს და ყველაფერი თავიდან დაიწყო. პირველი დღე, პირველი შეხვედრა სკოლასთან, ჩაგონება იმისა, რომ ისინი უცხო ოჯახში კი არ მოვიდნენ, არამედ მეორე, მშობლიური სკოლის ოჯახში. ჩვეული ხალისით გაუძღვა საწყისი საფეხურებისკენ, ფრთხილად, ალერსით, მოთმინებით სიყვარულით მიჰყავს ისინი ცოდნის სამყაროს გზით და არასდროს ავიწყდება, რომ სწორედ დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი მოზარდის განათლებას, მის პიროვნულ თვისებებს და ამდენად ბუნებრივია, მისი შემდგომი წარმატებები დიდად არის დამოკიდებული პირველ



მასწავლებელზე. ნანი ინწკირველი დიდი ხანია დარწმუნდა, რომ პირველი მასწავლებლის ღიმილი და სითბო ღრმად იდგამს ფესვებს ყმაწვილის სულსა და გულში და ისიც გამოსცადა საკუთარ თავზე, რომ ბავშვები ყველაზე უკეთ გრძნობენ, რამდენად აქვს პედაგოგს მომადლებული სიყვარულის ნიჭი, რამდენად იმსახურებს იგი მასწავლებლობის უფლებას.

ნანა ინწკირველი მახარაძეში (დღევანდელი ოზურგეთი) დაიბადა, იქვე დაამთავრა მეორე საშუალო სკოლა. ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს, მასაც ჰყავდა მისაბაძი პედაგოგი, რომელიც მარტო მასწავლებელი კი არ იყო, არამედ მოძღვარიც, სულიერი აღმზრდელიც – ასმათ სირაძე. მომავალი პროფესია გადაჭრით არ ჰქონია არჩეული, შეიძლებოდა, საკუთარი მშობლებივით ეკონომისტი გამხდარიყო, ან სულაც ექიმობა ან მათემატიკოსობა გადაეწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ გულმა ფილოლოგობისკენ გაუწია და 1970 წელს სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა მისაღები გამოცდები, 1976 წელს კი დიპლომირებულმა ფილოლოგმა ნანა ინწკირველმა თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. პირველივე გაკვეთილზე დარწმუნდა ახალბედა პედაგოგი, რომ იმისათვის, რომ პატარების ნდობა და სიყვარული დაიმსახურო, უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა-განათლება არ კმარა, ხოლო ამ ნდობისა და სიყვარულის გარეშე იმის უფლება არ გაქვს, რომ მასწავლებელი გერქვას.

განუსაზღვრელად დიდი უნდა იყოს მასწავლებლის ღიმილის ძალა, რათა პატარამ სულ მალე შეძლოს სიყვარულის ოჯახიდან სკოლაში გადატანა. მასწავლებელმა მარტო ანბანა, წერა-კითხვა და ანგარიში კი არ უნდა ასწავლოს მოსწავლეებს, მან იმთავითვე უნდა შეამზადოს თითოეულ ყმაწვილში საფუძველი, რომელზეც მომავალში მის სულიერება და მორალი, პიროვნული თვისებები, მოქალაქეობრივი მრწამსი უნდა ჩამოყალიბდეს. ამ ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობს მთელი 30 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ნანა ინწკირველი და ცოდნისა და გამოცდილების გარდა, უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულს აქსოვს ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეში, რათა ცხოვრების დიდ გზაზე საგზლად ცოდნა, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, სამშობლოს სამსახურად მზადყოფნა გაატანოს. დღეს, როცა საქართველოში უკვე გამოჩნდა დიდი ტაძრისკენ მიმავალი ქუჩა, ამ საძირკველს, ამ საგზალს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და მაშასადამე, განუსაზღვრელად იზრდება პირველი მასწავლებლის პასუხისმგებლობაც.

**ოლღა გველესიანი**

## სითბოთი და სიყვარულით სავსე გულით

ბავშვებთან მუშაობა, მათი სწორი აღზრდის და ქვეყნისთვის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს თან ახლავს მოვალეობის საამო განცდა და დიდი პასუხისმგებლობაც. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ვისაც არ ყოფნის ბავშვებთან ურთიერთობის ძალა და ნებისყოფა, მან არც უნდა ითავოს ეს უმძიმესი და ამავდროულად ულამაზესი მისია.

ყველას როდი შესწევს ძალა ჩაწვდეს ბავშვების სამყაროს, გაიზიაროს მათი სიხარული თუ ტკივილი და ისეთი მზრუნველობით მოეკიდოს მათ პრობლემებს, რომ ციცქნა გულებში დარდის ნამცეციც არ დაუტოვოს. ასეთი მისია ოდითგანვე მასწავლებელს აკისრია და ბედნიერია ის პედაგოგი, ვინც ამ მისიას პირნათლად ასრულებს, ღირსეულ, განათლებულ, ზნეკეთილ ადამიანებს უზრდის ქვეყანას და ამასთან, სამუდამოდ იმკვიდრებს ადგილს საკუთარი მოსწავლეების მეხსიერებაში. სწორედ ასეთ მასწავლებლად იცნობენ ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლის პედაგოგს ქალბატონ ელეონორა ნუცუბიძეს. აგერ უკვე 35 წელია რაც იგი პატარებს დედაენას ასწავლის, სიყვარულით ზრდის მათ, ნდობისა და სიკეთის მარცვალს თესავს მათ გულებში. პირველი კლასიდან მოყოლებული, საკუთრივ სასწავლო პროგრამის გარდა ელეონორა მასწავლებელი სხვადასხვა საინტერესო შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებების მეშვეობითაც აზიარებს გოგო-ბიჭებს ცოდნას, ხელს უწყობს თითოეულ მათგანში ამა თუ იმ მიდრეკილების, ნიჭის წარმოჩენას. ხშირად მართავენ მესამეკლასელები ზეიმებს, წარმოდგენებს, თემატურ დილებს ქართულ თუ ინგლისურ ენაზე. მასალის ინგლისურად მომზადებაში მათ ამ საგნის მასწავლებელი თინა გელაშვილი ეხმარება. მოსწავლეები ხან ცნობილი ზღაპრის გმირებს განასახიერებენ, ხან წკრიალა ხმით უმღერიან სამშობლოს, ლექსებით ეფერებიან დედებს, მასწავლებლებს, ადიდებენ სიკეთეს და სიყვარულს. ქალბატონი ელეონორა ნუცუბიძე ყოველთვის დიდი გულისყურითა და სიყვარულით არჩევს ამ ღო-



ნისძიებებისთვის ნაწარმოებებს, თითოეულ პატარას მისი გატაცებისა და შესაძლებლობების შესაბამისად ურჩევს ყოველ ლექსსა თუ სიმღერას. გაკვეთილზე იქნება ეს თუ კლასგარეშე ღონისძიებებზე, ნელ-ნელა, თამაშ-თამაშ უვითარებს აუცილებელ უნარჩვევებს ელეონორა მასწავლებელი თავის პატარებს და თავისი მოსწავლეების მორიგ თაობას სწავლა-განათლების შემდგომი საფეხურებისთვის ამზადებს. გაივლის წლები, პატარები დაფრთიანდებიან, ერის ღირსეულ შვილებად გაიზრდებიან და მათი ცხოვრება აუცილებლად იქნება მშვენიერი. ის ლოცვები კი, რომლითაც ქალბატონი ელეონორა ნუცუბიძე ყოველდღე იწყებს გაკვეთილს, ერისა და მოყვასის სიყვარულთან ერთად ცხოვრების სწორი გზის არჩევაშიც დაეხმარება პატარებს.

**თამუნა გველესიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაგარი" გამოგონებები



## ველოსიპედის ბორბლებს დაბერვა აღარ დასჭირდება

იაპონიაში გამოიგონეს ველოსიპედი, რომელსაც ტუმბო არ სჭირდება – მისი ბორბლები სვლისას ავტომატურად იბერება. ბორბლების მილისების შიგნით დაყენებულია კომპაქტური ტუმბოები, რომლებიც ბორბლების ტრიალის შედეგად გამომუშავებული ენერგიის ზემოქმედებით მუშაობს, ამასთან ეს მოწყობილობა არა მარტო ბერავს ბორბლებს, არამედ სპეციალური სარქველის საშუალებით ზედმეტ ჰაერსაც ამოტუმბავს და კამერაში ოპტიმალური წნევის შენარჩუნებას უწყობს ხელს. „თვითბერვადი ველოსიპედის" სპორტული მოდელები უკვე იყიდება და 317 დოლარი ღირს. მომავალში ეს ტექნოლოგია ავტომობილებისთვისაც იქნება გამოყენებული.

## ჩემოდანი თვითონ იჭერს ქურდებს




ერთმა სლოვაკმა გამომგონებელმა დაამზადა ჩემოდანი, რომელსაც შეუძლია თვითონ დაიჭიროს ქურდი. ყოველთვის, როცა ადამიანი ჩემოდნის სახელურს ჰკიდებს ხელს, შიგ ჩაყენებული ელექტრონიკა კოდს მოითხოვს, თუ კოდი 5 წამის განმავლობაში არ იქნება შეყვანილი, ჩემოდანში ამუშავდება ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ქურდს სპეციალურ მტვერს შეაფრქვევს, რომლის მოწმენდა შეუძლებელია, პოლიციისთვის კი ეს კვალი უტყუარი ნივთმტკიცებაა. ჩემოდნის დაგდებაც გამორიცხულია – უმალ სირენა ჩაირთვება.

## ფრთოსანი ავტომობილი



პოლ მოლერმა გამოიგონა „სკაიკარი" – ფრთებით აღჭურვილი ავტომანქანა, რომელსაც შეუძლია ჩვეულებრივი ვერტმფრენივით აფრინდეს და 500 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს. ამ მანქანას კომპიუტერი მართავს, ისე რომ ფრთოსანი ავტომობილით ფრენა ყველას შეუძლია, ბავშვებსაც კი. მოლერის აზრით, ათი წლის შემდეგ „სკაიკარი" ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.

## წიწმატს ნაღმების აღმოჩენა შეუძლია




დანიელმა მეცნიერებმა გამოიყვანეს ტრანსგენური წიწმატი, რომლის ფესვები ნიადაგში არსებულ ასაფეთქებელ ნივთიერებასთან შეხებისას წითელ ფერს იძენს. წიწმატის თესლის დათესვა საშიშ ზონაში თვითმფრინავიდან შეიძლება. 3 კვირაში მცენარე ფერს იცვლის, თუ მისი ფესვები შეეხება ნაღმის მიერ გამოყოფილ აზოტის ორჟანგს.

# ტესტი გოგონებისათვის



# გაქვს თუ არა სიყვარულის ნიჭი?

**1. თუ ბიჭი მოგწონს, მაშინ ასე მოიქცევი:**

ა) მოიცდი, ვიდრე თვითონ მიხვდება ამას – 1

ბ) ვაგრძნობინებ, რომ მომწონს – 3

გ) ვეცდები, ხშირად შევხვდე ხოლმე – 2

**2. თეატრში ან კონცერტზე ხარ და აღმოაჩენ, რომ შენი ოცნების ჭაბუკის გვერდით სკამი თავისუფალია. შენ...**

ა) გვერდზე მიუჯდები – 2

ბ) ამასთან რაღაც სასიამოვნოს ეტყვი მას – 3

გ) დაჯდომას ვერ გაბედავ – 1.

**3. ერთხელ იმ ბიჭმა, რომელიც მოგწონს, გითხრა ლამაზი თმები გაქვსო, შენ...**

ა) სხვა ფერად შეიღებავ თმებს – 2.

ბ) მადლობას გადაუხდი კომპლიმენტისთვის – 3

გ) ეტყვი, თმის მოვლა ძნელიაო – 1

**4. გაკვეთილზე ბიჭს, შენ რომ მოგწონს, ხშირად უვარდება კალმისტარი და ის წამდაუწუმ იხრება მის ასაღებად.**

**შენ ფიქრობ:**

ა) რა ხელთუპყარიაო! – 1

ბ) უხერხულობაში მაგდებსო – 2

გ) ჩემი ფეხების დანახვა უნდაო – 3.

**5. მეგობრების წრეში, როცა ცეკვის დრო მოდის, შენ...**

ა) ვინც მოგხვდება, იმას ეცეკვები – 1

ბ) თეთრ ცეკვას ელოდები – 3

გ) არავის არ ეცეკვები – 2

**6. ის, ვინც შენ დაგაინტერესა, ვერ იტანს წითელ ფერს, არადა, ეს შენი საყვარელი ფერია. შენ...**

ა) დაუყოვნებლივ ივიწყებ ამ ფერს – 3

ბ) ეცდები აუხსნა ამ ფერის უპირატესობა – 1

გ) საკუთარ გარდეროობს გადაახალისებ – 2

**7. დაინახე, რომ შენი დაქალი შენს ბიჭს ეცეკვება, შენ...**

ა) სცენას უწყობ – 2

ბ) ტირი – 3

გ) სხვას ეცეკვები – 1

**8. პაემანზე ყოველთვის...**

ა) 15 წუთით იგვიანებ – 1

ბ) 15 წუთით ადრე მიდიხარ – 3

გ) დროზე მიდიხარ – 2

**9. როცა საკუთარ სასიყვარულო თავგადასავალზე უყვები მეგობრებს, შენ...**

ა) ალამაზებ, აზვიადებ – 2

ბ) თავს იკავებ, ყველაფერს არ ამბობ – 1

გ) მეორდები – 3

**10. წარმოიდგინე, რომ შენ ის გიყვარს, მას კი სხვა უყვარს, შენ ეუბნები შენს თავს:**

ა) ასეც ვიცოდი – 1

ბ) ასეთი რამეც ხდება ხოლმე – 2

გ) ეს შეუძლებელია – 3

**დააჯამე ქულები:**

**10-12 ქულა:** შენ სიყვარულის ნიჭით ხარ დაჯილდოებული, ოღონდ არ იცი ამის შესახებ, რადგანაც მისი გამომჟღავნების შემთხვევა არ გქონია. გული ნუ დაგწყდება იმაზე, რომ მძინარე მზეთუნახავი ხარ, დიდებული გამოღვიძება გელის.

**13-20 ქულა:** შენ სიყვარულის ნიჭით ხარ დაჯილოებული, მაგრამ ამ გრძნობისთვის ჯერ მთლად „აწყობილი“ არ ხარ. ამ ნიჭს განვითარება სჭირდება. იმისათვის, რომ შენს რჩეულს თავი მოაწონო, ბევრი რამ უნდა ისწავლო.

**21-30 ქულა:** შენ არამცთუ გაგაჩნია სიყვარულის ნიჭი, არამედ ამ გრძნობისთვის ხარ დაბადებული. ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, ინსტინქტურად ყოველთვის იცი, როგორ უნდა მოიქცე, რათა საყვარელ ადამიანს თავი მოაწონო. ზოგჯერ ისეთ ვინმეს მოსწონხარ, ვინც შენ გულში არ ჩაგქრის, მაგრამ ესეც კი გსიამოვნებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტესტი ბიჭებისათვის

## რამდენად თანამედროვე ხარ?



**1. ბარემ არ გინდა სკოლაში სიარული, მაგრამ სხვა გზა არ გაქვს – ყოველდღე უნდა იარო, შენ კი სულ სხვა რამეზე ოცნებობ. ვინ გინდა გამოხვიდე?**

ა – მფრინავი

ბ – ბანკირი

გ – დიზაინერი

**2. წარმოიდგინე, რომ ზღვაზე მოგზაურობის საშუალება მოგეცა, შენ...**

ა – ამაზონიაში თავგადასავლებით სავსე მოგზაურობას ირჩევდი

ბ – კანარის კუნძულებისკენ აიღებდი გეზს

გ – ხმელთაშუა ზღვაზე იმოგზაურებდი

**3. დავუშვათ, მოხდა ისე, რომ მოგეცა მანქანის ყიდვის შესაძლებლობა, რომელს ირჩევდი:**

ა – „ბმვ"-ს.

ბ – რუსეთის წარმოების მანქანას.

გ. – შედარებით იაფ, ნახმარ უცხოურ მანქანას

**4. იძულებული ხარ, ყოველდღე საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრო. გზაში შენ:**

ა – კროსვორდებს ავსებ

ბ – სპორტულ გაზეთებს ათვალიერებ

გ – უბრალოდ, ფანჯარაში იყურები

**5. ვთქვათ, პოლიტიკა გაინტერესებს, რომელ პარტიას მისცემდი ხმას?**

ა – ყველაზე ძლიერს

ბ - იმას, რომელიც საქმიანი ინიციატივებით გამოდის

გ – ოპოზიციას

**6. დიდი ხნის უნახავ მეგობარ გოგონას შეხვდი და გინდა ფინჯან ყავაზე დაპატიჟო, სად წაიყვან?**

ა – კაფეში

ბ – პატარა, იაფ რესტორანში

გ –შინ.

**7. ამის შემდეგ გინდა, ცოტა ხანი ერთად გაიაროთ. სად შეხვიდოდით?**

ა – გამოფენაზე

ბ – კინოში

გ – დისკოთეკაზე

**8. გვიანია, უნდა დაშორდეთ ერთმანეთს.შენ:**

ა – სახლამდე მიაცილებ მას

ბ – მეტროს უახლოეს სადგურამდე გაჰყვები

გ – უბრალოდ დაემშვიდობები და ერთმანეთს დასცილდებით

**9. სიტყვა „სიყვარულის" გაგონებაზე რაზე ფიქრობ?**

ა – საყვარელ ადამიანზე

ბ – ხანმოკლე ფლირტზე

გ – რომანტიკულ საღამოზე

**10. რომელ რადიოტალღას უსმენ?**

ა – „ამერიკის ხმას"

ბ – „არ დაიდარდოს"

გ – „მწვანე ტალღას"

**11. დილით ძნელად გეღვიძება, ვერ ფხიზლდები და გინდა ამ მდგომარეობიდან გამოხვიდე. როგორ მოიქცევი?**

ა – საკუთარ გამოთაყვანებულ „სიფათს" ვიდეოფირზე გადავიღებ.

ბ – კვირაში ერთხელ კარგა ხანს ვისეირნებ ხოლმე

გ – ყოველდღე ნახევარ-ნახევარ საათს მაინც ვივარჯიშებ ხოლმე

**12. დაბადების დღეზე მეგობრები გთხოვენ, შენ თვითონ მოამზადო რამე. რას გააკეთებ?**

ა – რაიმე სახელდახელოს

ბ – ხაჭაპურს გამოვაცხობ

გ – სალათს

**13. დალევით რაღას დალევთ?**

ა – წვენს ან „ბორჯომს"

ბ – შამპანურს

გ – კოკა-კოლას.

**შედეგი ქულებში:**

1. ა -1 ბ-2 გ-1
2. ა-2 ბ-0 გ-1
3. ა-2 ბ-1 გ-0
4. ა-2 ბ-1 გ-1
5. ა-0 ბ-2 გ-2
6. ა-0 ბ-2 გ-0
7. ა-2 ბ2 გ-2
8. ა-1 ბ-0 გ-0
9. ა-1 ბ-0 გ-1
10. ა-0 ბ-2 გ-1
11. ა-0 ბ-1 გ-2
12. ა-1 ბ-0 გ -2
13. ა-2 ბ-0 გ-1

**4-12 ქულა:** სამწუხაროდ, ძალზე კონსერვატული ყოფილხარ, ეცადე, შეიცვალო, თორემ შეიძლება დროს ფეხი ვერ აუწყო.

**13-23 ქულა:** სწორ გზაზე ხარ, საკმაოდ თანამედროვე ხარ და დროის სულისკვეთების გრძნობაც გაგაჩნია. თუმცა, ყოველთვის არა...

**23 ქულაზე მეტი:** შენ მომავლის ადამიანი ხარ, დამოუკიდებელი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, მაგრამ ერთი რამ არ დაივიწყო: საკუთარ წარმატებებს მომავალშიც კრიტკულად მიუდექი, მოგეხსენება, სრულყოფისთვის ზღვარი არ არსებობს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საღეჭი რეზინი 1000 წლის წინათ ინდიელებმა გამოიგონეს

თურმე ამერიკელების მიერ წელიწადში მოხმარებული კევი ანუ საღეჭი რეზინი ერთ სწორ ხაზად რომ გავჭიმოთ, მისი სიგრძე დაახლოებით სამი მილიონი კილომეტრი იქნება. აი ასე უყვართ ამერიკაში საღეჭი რეზინი, სამაგიეროდ სინგაპურში იმდენად დაიღალნენ ამ მწებარე პროდუქტით ქუჩების დანაგვიანებასთან ბრძოლით, რომ რეზინის გაყიდვა აკრძალეს, ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებს საზღვარზევეართმევენ მას, ხოლო თუ ვინმე შეეცდება მალულად შეიტანოს ქვეყანაში ეს „სისაძაგლე", მას ორ წლამდე პატიმრობა ემუქრება, თუმცა ღეჭვის ბევრი მოყვარული არც ამას ეპუება და სინგაპურის ქუჩებს აქა-იქ მაინც აჩნდება არასასიამოვნო ლაქები.

მაინც ვინ და როდის გამოიგონა საღეჭი რეზინი?

ვინ და ინდიელებმა, როდის და 1000-ზე მეტი წლის წინათ. ინდიელებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საპოდილას ხეს წელვადი და ძალიან გემრიელი წვენი ჰქონდა და ძალიან მალე დაამზადეს მისგან კევი და „ჩიკლე" უწოდეს. XVI საუკუნეში ესპანელმა დამპყრობლებმა ევროპაში უცნობ სხვა პროდუქტებთან და მცენარეებთან ერთად ცენტრალური ამერიკიდან ჩიკლეც გააყოლეს ხელს. მაგრამ ევროპაში ეს უცნაური რამ არ მოეწონათ და სულ მალე ინდიელთა საყვარელი ჩიკლე დავიწყებას მიეცა, მაგრამ XIX საუკუნის მიწურულს მოხერხებულმა ამერიკელმა კომერსანტმა უილიამ რიგლიმ საღეჭ რეზინს ერთხელ და სამუდამოდ მოუპოვა გაუგონარი პოპულარობა. რიგლიმ ბიზნესს სულ პატარა, 10 წლისამ მიჰყო ხელი, მამისის დამზადებულ საპონს ყიდდა, მერე ფქვილზე გადავიდა. მყიდველთა მოსაზიდად კი სარეკლამო აქცია წამოიწყო – ის, ვინც მისგან ერთ შეკვრა ფქვილს იყიდდა, უფასოდ იღებდა ორ შეკვრა საღეჭ რეზინს. მოხერხებულ ბიზნესმენს საქმე ისე წაუვიდა, რომ ხალხი „დანამატს" უფრო ეტანებოდა, ვიდრე ძირითად პროდუქტს. რიგლიმ უმალ იყნოსა დიდი მოგების შანსი და მთლიანად გადაერთო დამტკბარი კევის ფირფიტების წარმოებაზე. თავადაც გეცოდინებათ – Wrigley დღესაც ერთ-



ვინ იცის, იქნებ ამ ინდიელის შორეული წინაპარიც ასე ბერავდა ჩიკლეს.



ერთი ყველაზე პოპულარული მარკის საღეჭი რეზინია.

ბევრს, განსაკუთრებით კი ხანდაზმული ასაკის ადამიანებს აღიზიანებს, როცა ახალგაზრდები შეუჩერებლივ აღლაჭუნებენ საღეჭ რეზინს და მით უმეტეს, როცა ბუშტებად ბერავენ, მერე ტკაცუნით ხეთქავენ მათ, მაგრამ როგორც ინგლისელი მეცნიერები ირწმუნებიან, საღეჭი რეზინი სასარგებლო ყოფილა. ჯერ ერთი ღეჭვისას გამოიყოფა მეტი ნერწყვი, რომელიც კბილების მინანქარისთვის აგრერიგად საჭირო კალციუმსა და ფოსფორს შეიცავს. გარდა ამისა, რეზინის ღეჭვა აზრების თავმოყრასა და სწრაფ აზროვნებაშიც ეხმარება ადამიანს. ამას კი მეცნიერები ასე ხსნიან – ღეჭვა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას პირის კუნთებში, გული უფრო გამალებით ცემს – შედეგად კი ტვინი უფრო მეტ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს ღებულობს. ისე რომ, საღეჭი რეზინი სასარგებლოც ყოფილა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არავის და არაფერს არ გაუწიოთ ანგარიში და სადაც კი და როცა კი მოგინდებათ, ხმამაღლა აღლაჭუნოთ საღეჭი რეზინი და გაუთავებლად ბეროთ და ატკაცუნოთ ბუშტები.



აი ეს გახლავთ უილიამ რიგლი, საღეჭი რეზინი რომ გააცნო მსოფლიოს.

### რჩევა

თუ საღეჭი რეზინი შარვალზე, კაბაზე თუ ხალათზე მიგეწება, ტანსაცმელი მაცივრის საყინულეში შედე, რეზინი გამაგრდება, მსხვრევადი გახდება და ადვილად მოძვრება. ცხადია, რეზინაკრულ ხალიჩას მაცივარში ვერ შედებ, მაგრამ იგივე ეფექტის მისაღებად შეგიძლია ხალიჩაზე ყინულის ნატეხები დააწყო. ხოლო თუ რეზინი თმაზე აგეკრა, გაწებილ ადგილზე ცოტა კარაქი ან ზეთი შეიზილე, რეზინი გალღვება და ადვილად მოსცილდება თმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების კუთხე

# დედამშვილობა



ზარმაცა მთელ სიცოცხლეს „ჩამოკიდებულ“ მდგომარეობაში ატარებს. ამ ცხოველებს ხეებზე სძინავთ, ისინი ხეებზევე ჭამენ და ხეებზევე იბადებიან.



ახლად გამოჩეკილი ნიანგის ნაშიერი (არ დაგავიწყდეთ – ნიანგი კვერცხისგან იჩეკება) უმალ დედას უხმობს, ის კი პირში მოიქცევს შვილს და ასე გადაჰყავს იგი უსაფრთხო ადგილზე.



როგორც კი ძუ ლომი საფრთხეს იყნოსავს, თავის ბოკვერებს ქეჩოში ჩაავლებს კბილებს და ასე სათითაოდ გადაჰყავს ისინი მოფარებულ ადგილზე.



პატარა კენგურუ თანატოლ ცხოველებში ყველაზე ბედნიერია, მას შეუძლია მთელი 10 თვე დაჰყოს დედის მყუდრო ჩანთაში და არხეინად მიირთვას თბილი რძე.

## ვინ როგორ დარბის?




თუმცა ადამიანს თავი მოაქვს თავისი მიღწევებით სარბენ ბილიკებზე, მაგრამ თურმე ჟირაფი და კურდღელიც კი ნებისმიერ ოლიმპიურ ჩემპიონზე სწრაფად დარბიან. მოკლე დისტანციაზე ჟირაფი ისეთივე სიჩქარეს ანვითარებს, როგორსაც კურდღელი. სირაქლემა ტოლს არ უდებს ცხენს, უდავო ლიდერის „ყვითელი მაისურის“ მფლობელი კი გეპარდია, რომლის სიჩქარე საათში 112 კილომეტრია, თუმცა იმის გამო, რომ მისი მსხვერპლი ბევრად უფრო ნელა დარბის, გეპარდი ასეთ სიჩქარეს იშვიათად „რთავს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა — თქვენი

**მაინტერესებს, როდის და რომელ ქვეყანაში მოეწყო პირველი ლატარია და თუ შეიძლება, რომ ვინმემ რაღაც ხერხით გამოიცნოს მომგებიანი ციფრები ან პასუხები?**

**ნოშრევან ყიასაშვილი,**
**14 წლის**

## ბედი ზოგს უღიმის, ზოგს კი დასცინის

ლატარიის ოფიციალური ისტორია დაიწყო იმ გათამაშებით, რომელიც ნიდერლანდელი მხატვრის იან ვან ეიკის ქვრივმა 1466 წლის 24 თებერვალს ქმრის გარდაცვალების 25-ე წლისთავზე ბრიუგეში გამართა. ბედის ცდა ფულადი პრიზების გათამაშებაში შეეძლო ყველას, ვინც ბილეთს შეიძენდა. შემოსული ფული ქალაქის ღარიბებისთვის იყო განკუთვნილი.

1520 წელს საფრანგეთის მეფემ ფრანცისკ I-მა დააკანონა ლატარიის ბილეთების გამოშვება და ჩაატარა გათამაშებები პარიზში, ლიონში, სტრასბურგში, ბორდოსა და ლილში. მოგვიანებით მას იტალიელებმა მიბაძეს, 1566 წელს კი — ინგლისელებმა. ერთი სიტყვით, ლატარიის ბორბალი დატრიალდა და მისი გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ლატარიის ბილეთები (3 მილიონი) 1921 წლის საშინელი გვალვის შედეგად დაწყებული საყოველთაო შიმშილის დაძლევის მიზნით გამოუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ ლატარია, როგორც აზარტის გამოვლინება, „ბურჟუაზიულ გადმონაშთად“ ითვლებოდა, სსრკ-ში დამკვიდრდა ფულადი და ნივთების ლატარიის გათამაშების პრაქტიკა, ცხადია, ტარდებოდა ლატარიები საქართველოშიც.

მოგების თავისებური რეკორდი დაამყარა საფრანგეთის ქალაქ კასტრის ერთ-ერთმა მცხოვრებმა (როგორც წესი, მსხვილი მოგებების შემთხვევებში იღბლიან ადამიანთა ვინაობას არ ამჟღავნებდნენ) მან ორჯერ რვა წლის შესვენებით შეძლო ლატარიის ექვსივე ნომრის გამოცნობა. იგი დღემდე ერთხელ არსებული ტაქტიკის ერთგული რჩება — თამაშობს კვირაში ერთხელ, ერთი და იმავე ბარში ყიდულობს 56 ფრანკად ღირებულ ბილეთს და ჯიუტად ხაზავს ერთი და იგივე ნომრებს. ასე მოიგო მან 1991 წლის აპრილში 12,8 მილიონი ფრანკი (თითქმის 2,3 მილიონი დოლარი), მართალია, რვა წლის შემდეგ მას ნაკლებად გაუმართლა, მაგრამ ურიგო არც 3,7 მილიონი ფრანკია (თითქმის 650 ათასი დოლარი).

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ატარებენ გათამაშებას. მაგალითად, ესპანეთში ყველაზე პრესტიჟული ლატარია ყოველი წლის 22 დეკემბერს თამაშდება. ამ საშობაო სპექტაკლში, რომელსაც მილიონობით ესპანელი ადევნებს თვალს ტელევიზიით, მთავარი როლები მადრიდის სკოლა-ინტერნატ „სან-იდელფონსოს“ მოსწავლეებს აქვთ



მინდობილი. მომგებიანი ბურთულების ნომრებს ბავშვები წამღერებით ასახელებენ. ამბობენ, რომ ამ ტრადიციას თითქმის ოთხი საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი. ლატარეების გათამაშებაში ბავშვებს სხვა ქვეყნებშიც იყენებენ და არც თუ იშვიათად. ზოგჯერ მათ თაღლითობაზე უბიძგებენ. მაგალითად, იტალიაში მილანის ერთ-ერთ გარეუბანში, საქმოსნებმა სიმდიდრე იმის შედეგად მოიპოვეს, რომ მომგებიანი ნომრების ამოსაღებად საამისოდ სპეციალურად გაწვრთნილ ბავშვებს იყენებდნენ, რომლებსაც შეეძლოთ თხელი ქსოვილით თვალახვეულებს ამოეცნოთ ნომრები.

„ოქროს წვიმის“ მოიმედე ადამიანები, მათ შორის სერიოზული მკვლევარები და მეცნიერები, რომლებიც ალბათობის თეორიაზე მუშაობენ და რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ლატარიის პატიოსნად მოგების გზებიც არსებობს, მრავალი წელია ცდილობენ ამ თავსატეხის ამოხსნას, მაგრამ ამაოდ. ჯერჯერობით მოგების უზრუნველმყოფ კანონზომიერებას ვერავინ მიაკვლია, თუმა ბევრი ცდილობს, რაღაც მარტივი სისტემით, ვთქვათ,დაბადების წლის, დღის თუ სხვა ღირსსახსოვარი თარიღების კომბინაციებით მიაგნოს ამოხსნას. ზოგი სიზმრად ნანახ ციფრებს ენდობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთებიც არიან, ვინც ავარიაში მოხვედრილი მანქანების ნომრებს იღბლიანად მიიჩნევენ და მათი მიხედვით ავსებენ ბილეთებს. პარიზში დღემდე ანეკდოტივით დადის ერთი ასეთი ამბავი: ერთ-ერთი ლიცეუმის პროფესორი ქუჩაში გაუჩერებია ერთ მის ნამოწაფარს, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ თავისი განუმეორებელი სიჩლუნგით დაამახსოვრა მას თავი. ახალგაზრდას ლამის ხვეწნა-მუდარით დაუხრჩვია მასწავლებელი: „ძვირფასო პროფესორო, თქვენი მათემატიკის წყალობით მე ლატარიაში მილიონი მოვიგეო“. „რა?!“ — გაოგნებულა მასწავლებელი. „იცით, ერთხელ ზედიზედ სამი ღამე მესიზმრებოდა, ვითომ მე სკოლაში დავბრუნდი და თქვენ ჩაციებით მეკითხებოდით შვიდჯერ რვა რამდენი იქნებაო? მაშინვე მივხვდი, რომ ეს ნიშანი იყო, 63-ზე დამთავრებული ლატარიის ბილეთი ვიყიდე და მოვიგე“ დიახ, ასეც ხდება. ბედი ბრმა არის. ასე რომ არ იყოს, განა შეხვდებოდა ზიმბაბვეს ისტორიაში პირველივე ტირაჟის მთავარი მოგება ამ სამხრეთაფრიკული ქვეყნის 77 წლის პრეზიდენტს რობერტ მუგაბეს, რომელსაც ეს 100 ათასი ზიმბაბვური დოლარი (2630 ამერიკული დოლარი) არაფერში წაადგებოდა, 25 დოლარიანი მინიმალური ხელფასის მქონე რიგით ზიმბაბველს კი ცაში აიყვანდა?! ან ინფარქტამდე მივიდოდა ბულგარეთის ქალაქ რუსეს ხანდაზმული მცხოვრები, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაგროვები დანაზოგით, „შავი დღისთვის“ გადადებული 800 მარკით ცოლისგან ჩუმად 1300 ლატარიის ტალონი იყიდა, მაგრამ ვერცერთი კომბინაცია ვერ გამოიცნო და საავადმყოფოში მოხვდა?!

დიახ, ტრიალებს ბედი, ზოგს ულიმის, ზოგს დასცინის“ ტრიალებს ათასგვარი ლატარიების ლოტოტრონებიც, ზოგი იგებს, ზოგი — ვერა.

# პასუხი — ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში

## ნაწყვეტი პოპულარული ამერიკელი როკ-მუსიკოსის და სნაიდერის წიგნიდან

70-იანი წლებიდან მოყოლებული, ნარკოტიკების პოპულარობის ცხრილის სათავეში კოკაინი მოექცა.

1. კოკაინი – ამ ფხვნილს სამხრეთამერიკული მცენარის, კოკასაგან ღებულობენ. იგი ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებას იწვევს, აჩქარებს გულისცემას, მაღლა სწევს სისხლის წნევას. თუმცა ამ ფხვნილის გადამეტებითი ხმარების შემთხვევები შედარებით ნაკლებია, კოკაინის ხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობა ბოლო ხუთ წელიწადში სამჯერ გაიზარდა.

კოკაინის ორი-სამი წლის მანძილზე ხმარების შემდეგ ვითარდება მდგრადი ფსიქოლოგიური დამკიდებულება ამ ნარკოტიკზე და საბოლოო ჯამში ნარკომანის მთელი დარჩენილი სიცოცხლე მორიგი დოზის გარშემო ტრიალებს.

ხოლო ვინაიდან კოკაინი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მისი მონები ხშირად ვარდებიან ვალებში ანდა დანაშაულს ჩადიან.

კოკაინის ყნოსვა ცხვირის ძგიდეს შლის და უწინდელი სილამაზის აღსადგენად საჭირო ხდება კოსმეტიკური ოპერაციის გაკეთება. ცუდ დღეში ვარდებიან ისინიც, ვინც თავს ანებებს კოკაინს: მათ შეიძლება გაუჩნდეთ ჰალუცინაციები, ისინი ადვილად ღიზიანდებიან, ყველა წვრილმანზე ნერვები ეშლებათ, ლამის პარანოიდულ მდგომარეობაში ვარდებიან, ანუ უჩნდებათ შიში და უნდობლობა გარშემო მყოფთა მიმართ.

2. „კრეკი" კოკაინის ნაირსახეობაა, მას ეწევიან. ამასთან „კრეკი" კოკაინზე ათასჯერ სახიფათოა, ვინაიდან ის ფილტვების გავლით ხვდება სისხლში, სულ რამდენიმე წამში აღწევს ტვინამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უმალ ხდები დამოკიდებული ამ ნარკოტიკზე: ისევე, როგორც კოკაინის ხმარების დროს, ჩნდება ეიფორიის მდგომარეობა, მაგრამ ეს სულ რაღაც 5-20 წუთი გრძელდება, მერე კი საშინელი დეპრესია იწყება.

ადამიანს მაშინვე შემდეგი დოზის მოთხოვნილება უჩნდება და ეს თითქოსდა იაფი „კრეკი" (10-15 დოლარი) გაშმაგებული სიჩქარით ძვირდება.

3. მარიხუანას მცენარე კანიბის სატივისაგან ღებულობენ. 1937 წლამდე მისი გამოყენება სავსებით კანონიერი იყო: მისგან წნავდნენ თოკებს, ფეხსაცმლის თასმებს, ამზადებდნენ სამედიცინო პრეპარატებს.

## ნარკოტიკების ჰიტ-პარადი

მარიხუანას ძირითადი კომპონენტი (დელტა-ცხრა-ტეტრაჰიდროკანიბოლი) შეიძლება 7-9 დღე დარჩეს ორგანიზმში. ბოლო დროს ამერიკაში ძალიან მკაცრად ტარდება საწარმოთა თანამშრომლების შემოწმება ორგანიზმში ნარკოტიკის არსებობის დასადგენად, ასეთი ტესტების ჩატარება სკოლებშიც ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა, რომ იცოდე, გარდა დელტა-ცხრა ტეტრაჰიდროკანიბოლისა, მარიხუანაში სულ ცოტა კიდევ 400 სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება შედის.

მარიხუანას მოყვარულებს დარღვეული აქვთ, ამასთან ძალზე ძლიერად, წარმოდგენა დროსა და სივრცეზე.

„ბალახის" მწეველები პირსა და ხახაში სიმშრალეს გრძნობენ, ისეთი შეგრძნება აქვთ, რომ თვალებში სილა შეაყარეს, ეწყებათ თვალების ანთება, უუარესდებათ მეხსიერება, კოორდინაცია, უჩნდებათ საშინელი მადა. ეტყობა, სწორედ ყველა ამ საშინელების გამო „ბალახის" მწეველთა რაოდენობა ამერიკაში თანდათან მცირდება.

4. ზოგი მოზარდი გამოცდების თუ სპორტული შეჯიბრების წინ ამფეტაინებს ხმარობს, რომლებსაც „დამაჩქარებელსაც" უწოდებენ. ამ წამლის მიღების შემდეგ ადამიანი ძალზედ აღგზნებული ხდება, უზომოდ ბევრს ლაპარაკობს, უჩნდება თვითდაჯერებულობისა და სიძლიერის ცრუ გრძნობა, რომელიც პრეპარატის მოქმედების შეწყვეტის უმალვე ქრება. მერე იწყება აპათია. მის დასაძლევად ადამიანი ამფეტამინის დოზას ზრდის, სულ უფრო ხშირად ღებულობს მას და ორგანიზმიც სულ მალე ეჩვევა ნარკოტიკს და მაშასადამე, განცდილი შეგრძნებების მისაღწევად სულ უფრო მეტ დოზას მოითხოვს. ამფეტამინის უარყოფითი ზემოქმედება ფიზიოლოგიაზეც აისახება და ფსიქიკაზეც. ნარკომანს პარანოია უვითარდება, გამორიცხული არ არის, ჰალუცინაციები, მოჩვენებები, ძალიან ხშირად ადამიანი ველარ არჩევს სინამდვილეს და ილუზიებს, ადვილად ღიზიანდება, ერთი სიტყვით, ფსიქი ხდება.

**ნარკოტიკები ახალგაზრდობის მასობრივი განადგურების იარაღია!**



5. იმ დეგენერატთა შორის, რომლებსაც ეს თავი ეძღვნება, ტრანკვილიზატორების, ანუ ძილის წამლების მოყვარულებიც არიან. ამ საშუალებებს „ბარბიტურატებსაც“ უწოდებენ. ამ ნარკოტიკების მიღების შემდეგ ადამიანი ეშვება, მას ეხსნება დაძაბულობა, ეუფლება ეიფორიის საერთო გრძნობა, რომელიც ხშირად დეპრესიაში გადადის. დამამშვიდებლები ანელებენ სუნთქვას, მაჯისცემას, მათი ხმარება იწვევს იმას, რომ ადამიანი გარკვევით ვეღარ ლაპარაკობს, ფეხი ეშლება, გულმავიწყი ხდება. ზოგს იმდენად ღალატობს მეხსიერება, რომ აღარ ახსოვს, რამდენი აბი მიიღო. ეს კი ჭარბი დოზის მიღების ძირითადი მიზეზია, ხოლო თუ რა მოსდევს ჭარბ დოზას, გაგონილი გექნება.

არსებობენ კიდევ უფრო დიდი სულელები, რომლებიც აბებს ალკოჰოლს აყოლებენ. ასეთი ნარევი კი კამეჩსაც გათიშავს არამცთუ წვრილფეხა, სუსტ ტიპს, მაშინაც კი, თუ დეგენერატი კვადრატში ხარ, ღვინოსა და ნარკოტიკებს ნუ აურევ. თუმცა, თუ დეგენერატი ხარ, სულ ერთია, ვერაფერს მიხვდები!

დამამშვიდებელი პრეპარატები იმდენად ანელებს სუნთქვას, რომ თუ ადამიანი მეტისმეტად ბევრ აბს მიიღებს, შეიძლება ვეღარც შეამჩნიოს, რომ აღარ სუნთქავს, ანდა ძილში გაიპაროს. ბევრი კომატოზურ მდგომარეობაში ვარდება, ხოლო თუ გაუმართლა და მოახერხა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, ტვინი იმდენად ერევა, რომ სამუდამოდ იდიოტად რჩება.

ხომ წარმოგიდგენია, როგორი პერსპექტივაა? თუმცა მაშინ შენთვის ყველაფერი სულერთი იქნება.

6. ჰალუცინოგენები. ეს ჰალუცინაციების გამომწვევი ნარკოტიკებია. ყველაზე სახელგანთქმული მათგან არის ლსდ. ამ ნარკოტიკს, რომელსაც არც გემო აქვს, არც ფერი და არც სუნი, ხშირად „მჟავას“ უწოდებენ. ადამიანი, რომელიც ლსდ-ს გადაყლაპავს, „სამოგზაუროდ“ მიდის. „მოგზაურობა“ კი ზოგჯერ ოთხ საათსაც კი გრძელდება. „მოგზაურობის“ დროს „მოგზაურის“ ემოციები და საქციელი ისეთ პირუეტებს აკეთებს, როგორსაც „ამერიკულ მთებზე“, ერთ წუთში რომ ხარხარებს, მეორეში უმალ ქვითინზე გადადის და პირიქით. უმახინჯდება საერთო შეგრძნებები, ეკარგება დროის აქმა. ზოგის „მოგზაურობას“ შემზარავი შეგრძნებები ახლავს. ადამიანი პიროვნების გაორებას განიცდის, ეჩვენება, რომ საკუთარ სხეულს სცილდება, სითხედ გადაიქცევა და ა.შ.

ლსდ-ს და ჰალუცინოგენების ხა-



ნგრძლივი ხმარება თავის ტვინის ენცეფალოგრამისდ ამახინჯებას, მეხსიერების დაკარგვას, აბსტრაქტული აზროვნების გაუარესებას, ყურადღების დაფანტვას იწვევს.

7. „ანგელოზის მტვერი“, ანუ „პი-სი-პი“ თავიდან ტკივილგამაყუჩებელი საშუალების სახით შეიქმნა, მაგრამ მისი ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი ძლიერი ჰალუცინაციები აღმოჩნდა. იმ ადამიანის ქცევაში, რრომელიც ამ ნარკოტიკს ხმარობს, უცნაურობები ჩნდება, რომლებიც ადრე არ შეინიშნებოდა.

„პი-სი-პი“-ს მრავალი თაყვანისმცემელი გარდაიცვალა, დამწვრობისაგან, კიდევ უფრო მეტი წყალში დაიხრჩო, საკმაოდ ბევრი კლიენტი ფანჯრიდან გადავარდა. „პი-სი-პი“-ს მომხმარებელთა ნაწილს სინამდვილეში სრული განურჩევლობა ეუფლება. სხვები კი აგრესიულები ხდებიან. ამ ნარკოტიკის ხანგრძლივი ხმარება მეხსიერებისად a მეტყველების დარღვევას იწვევს, ნარკომანებს ხშირად რაღაც „ხმები ესმით“.

8. ტოქსიკომანებში 7-17 წლის ბავშვები და მოზარდები ჭარბობენ, ქიმიკალიების შემცველი ნივთიერებები: ავიაკონსტრუქტორის კომპლექსში შემავალი წებო, ბენზინი, ლაქის მოსაცილებელი სითხე, სარეცხი საშუალებები და სხვ. ანელებს ორგანიზმის ფუნქციებს, აორთქლებისას ქიმიკალიები ადამიანის ტვინზე ზემოქმედებს. გამხსნელების თუ აეროზოლების მაღალკონცენტრირებული სუნის შესუნთქვას შეუძლია გულის მოქმედებისდ არღვევა და მყისიერი სიკვდილი გამოიწვიოს, ხოლო სუნთქვა შეიძლება იმდენად მინელდეს, რომ საერთოდ შეწყდეს.

9. ოპიატები. ეს ნარკოტიკები მედიცინის მიზნით, ტკივილის მოსახსნელად და ავადმყოფების წვალების შესამსუბუქებლად გამოიყენება. ყველაზე ცნობილი პოიატია ჰეროინი.

ოპიატები ფიზიოლოგიურად დამოკიდებულს ხდიან ადამიანს, და ნარკომანის მთელი ცხოვრება ნარკოტიკზე ფოკუსირდება. ნარკოტიკის გულისთვის ადამიანი ყველაფერზე მიდის. საშიშროების წყაროა ცუდად სტერილიზებული შპრიცებიც, ხოლო ერთი ნემსით ერთობლივ ჩხვლეტებს ადრე თუ გვიან შიდსამდე მიჰყავს ნარკომანები...

ვინაიდან, ნარკოტიკები კანონსაწინააღმდეგოა, არ შეიძლება დარწმუნებული იყო იმის სისუფთავესა და სიძლიერეში, რასაც ნარკომანი ეწევა, ყლაპავს თუ იკეთებს. პირადად ჩემთვის ეს სავსებით დამაჯერებელი მიზეზია საიმისოდ, რომ ნარკტიკები მივიღო. როგორ შეიძლება რაღაც გადაყლაპო ან დაყნოსო, თუ ეს რაღაც „ბარიგასგან“ იყიდე?! ვინ იცის, რა საშინელება აქვს შერეული ფხვნილს ან თამბაქოს?! მე არ მინდა დამოკიდებული ვიყო ნარკოტიკებზე, და იმათზეც, ვინც ნარკოტიკებზე მდიდრდება?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

– პაპაშენს უთხარი, ხვალ აუცილებლად მოვიდეს სკოლაში! – გამოუცხადა მასწავლებელმა პატარა ჟაკს მისი საშინაო დავალებების რვეულის შემოწმების შემდეგ.

– კი მაგრამ, პაპა რა შუაშია? – გაიკვირვა ბიჭმა.

– იმ შუაშია, რომ მამაშენი შენი მათემატიკის ამოცანების ამოხსნისას უამრავ შეცდომას უშვებს.

* * *

– ტოტო, ჩემო ბიჭო, რამდენჯერ გითხრა, ასანთით არ ითამაშო-მეთქი!

– მე არ ვთამაშობ, სიგარეტს ვუკიდებ.

* * *

გეოგრაფიის მასწავლებელი: – როგორ გაიგეს ადამიანებმა, რომ დედამიწა მრგვალია?

მოსწავლე: – გლობუსს შეხედეს და ისე.

* * *

შეშინებულმა მამამ, რომლის პატარა შვილმა ქვიშას გემო გაუსინჯა, ბავშვს რამდენიმე ჭიქა წყალი დაალევინა, მერე კი რჩევისთვის ექიმს დაურეკა.

– როგორ მოვიქცე, ექიმო?

– ახლა მთავარია, ბავშვს ერთი ნამცეცი ცემენტიც კი არ მისცეთ.

* * *

– მითხარი, ბობ, ჩემო კარგო, რა თქვა მამამ, კიბეზე რომ დაგორდა? – ჰკითხა დედამ თავის პატარა შვილს.

– სალანძღავი სიტყვები გამოვტოვო? – დააზუსტა ბობმა.

– რა თქმა უნდა, გენაცვალე?

– მაშინ მამას არაფერიც არ უთქვამს.

* * *

– მამა, რა არის სენსაცია?

– სენსაციას რაიმე სერიოზულ ამბავს ეძახიან. მაგალითად, თუ ძაღლმა ადამიანს უკბინა, ეს არასერიოზული ამბავია, ხოლო თუ ადამიანმა ძაღლს უკბინა – ეს უკვე სენსაციააა.

* * *

მასწავლებელმა კლასს სა-



შინაო დავალებად თავისუფალი თემა მისცა: „რა არის სიზარმაცე?“ მეორე დღეს, საშინაო დავალებას რომ ამოწმებდა, ფრიცის რვეული გადაფურცლა. გალაშალა პირველი გვერდი – არაფერი ეწერა, გადაშალა მეორე – არაფერი, მესამე გვერდზე კი ეწერა: „აი, ეს არის სიზარმაცე“.

* * *

– დასხედით და წარმოიდგინეთ, ვითომ ნავში სხედხართ და ნიჩბებს უსვამთ – უხსნის ფიზკულტურის მასწავლებელი ბავშვებს. – აბა, დავიწყოთ, ერთი-ორი, ერთი-ორი!..

ყველა იწყებს ვარჯიშს, მხოლოდ კარლი ზის უმოძრაოდ.

– კარლ, რატომ გაჩერებულხარ?

– მე, მასწავლებელო, მოტორიან ნავში ვზივარ.

* * *

მასწავლებელი: რა ეწოდება არსებას, რომელსაც წყალზეც შეუძლია ცხოვრება და ხმელეთზეც? – ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.

მოსწავლე: მეზღვაური.

* * *

– არა გრცხვენია, მაქს, სკოლაში ნასწავლი სახლში მისვლამდე გავიწყდება! – უსაყვედურა დედამ შვილს.

– ანასაგან მაინც აიღე მაგალითი, დედამისმა მითხრა, ყველაფერს ახსოვს ხოლმეო.

– ანა სკოლასთან ახლოს ცხოვრობს და აბა რა იქნება.

* * *

მასწავლებელი: ბავშვებო, თქვენ, ალბათ, იცით, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.

– კი მაგრამ, მზე რომ ჩადის, მაშინ რაღას შვრება დედამიწა? – იკითხა ერთმა მოსწავლემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილო – ზინილო

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. ცურვის სახეობა. 2. ნაწარმოების მთავარი აზრი. 3. ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული კუროს თანავარსკვლავედში. 4. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება. 6. ქალაქი გერმანიაში მდ. დუნაიზე. 7. სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელი. 8. კუნძული ინდოეთის ოკეანეში. 11. სახელმწიფო ევროპაში. 12. კედელზე ან სვეტზე მიდგმული კაცის ქანდაკება, რომელსაც თითქოს ეყრდნობა ჭერი. 13. ქალაქი ჩინეთში. 16. დადებითად დამუხტული ელექტროდი. 19. ფილიპინების დედაქალაქი. 23. ჰავაის კუნძულთა ჯგუფის კუნძული. 24. მდინარე საქართველოში. 27. ნაღნობის მინერალური ნარჩენი. 28. ჩამქრალი ვულკანი იტალიაში.

**თარაზულად**: 1. შინაური ცხოველი. 5. ჰაიტის დედაქალაქი. 9. ადამიანის ერთგული ცხოველი. 10. ტბა ჩინეთში ქ. სააგუანთან. 13. დაუყოვნებლივ, სწრაფად ანუ? 14. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ნელი ტემპით სრულდება. 15. მდინარე ვოლგის შენაკადი. 17. ტყის ვარდი. 18. შედარებითი სიმაღლეების გამოსარკვევი ხელსაწყო. 20. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული. 21. მინერალური წარმოშობის ფისისებრი ნივთიერება. 22. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და აშშ-ში. 25. მთიანი მხარე რუსეთში. 26. ბოსტნეული. 29. ინდონეზიის კუნძულთაგანი. 30. ჯარების შენაერთი.

## გეოგრაფიული ჩაინვორდი



ჩაინვორდი შედგება გეოგრაფიული სახელწოდებებისგან, რომლებიც იწყება ასოთი „ა" და მთავრდება ამავე ასოთი. გამოყენებულია მხარეების, ქვეყნების, ქალაქების, მდინარეების, მთების სახელები. საწყის ასოებს შორის დარჩენილი უჯრედების რაოდენობა გიკარნახებთ, რომელ შუალედში რომელი სახელწოდება უნდა ჩაიწეროს.

## ვინ არის შენი თანამგზავრი

თუ ლაბირინთის დამაგვირგვინებელ მღვიმემდე სწორი გზით ივლი, იქ შენთან ერთად შესანიშნავი წიგნის გმირიც მოვა, ამ გმირის ვინაობის დასადგენად კი გზადაგზა ყველა ასო სათითაოდ უნდა აკრიფო.





სწრაფად, დაუთვლელად უპასუხე, რამდენი პატარა თევზია მოთავსებული ამ დიდ თევზში და მერე შეამოწმე.

# საქართველოს მომავალი



ქეთინო ავალიანი, ლემშვანიერას საშ. სკოლა, VII კლასი



თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, IV კლასი (2003-2004 სასწავლო წელი), კლ. ხელმძღვანელი ლონდა ზედელაშვილი



თბილისის 147-ე საშ. სკოლა IVკლასი (2003-2004 სასწავლო წელი) ხელმძღვანელი ნანი ინწკირველი



და-ძმა ნაცი, მარი და ჯეირან გელოვანები



ლევან ავალიანი



გიორგი იოსელიანი



მამუკა რაციანი



სალომე ნარსავიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ვერნისაჟი







მეგი მაისურაძე, თბილისის 143-ე საშ. სკოლა, II კლასი



მარი ტვილდიანი



ლუკა ნიშნიანიძე



ნინო ვეფხვაძე



ლაშა გოგიჩაშვილი



გიორგი და ნუგზარ გოგოლაძეები



ნინი ნემსაძე



ირაკლი მოდებაძე



მარი წიკლაური

## ყურადღება! ვიღებთ ფილმს

ქალბატონი ირმა ებრალიძე, რომელიც პროფესიით მასწავლებელი გახლავთ, იღებს საბავშვო ფილმს, რომლის პირობითი სახელწოდება „ცაში მფრინავი სურვილები". ფილმის სცენარის საფუძვლად დაედო ნოდარ დუმბაძის მოთხრობები. ფილმის პროდიუსერია მანანა ლომოური, მონაწილეობენ: მაია მაისაშვილი, დოდო შანშიაშვილი, რუსუდან გობეჩია, დათო ებრალიძე და აქ წარმოდგენილი ბავშვები.



მარი გობეჩია



მარი ებრალიძე



მარი კურტანიძე



ელენე გუჯეჯიანი



ანი ძამაშვილი



თაკო ჩაჩუა